ხელოვნება

მასწავლებლის წიგნი

V კლასი

თეო ჯალაღანია, ჯიმშერ ჯობავა, ქრისტინე ჯობავა

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

მასწავლებლის წიგნი

V კლასი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
მიერ 2018 წელს

„საქართველოს მაცნე“

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
მეხუთე კლასის მასწავლებლის წიგნი

ავტორები
თეო ჯალაღანია, ჯიმშერ ჯობავა,
ქრისტინე ჯობავა

მხატვრობა და დიზაინი
ქრისტინე ჯობავა

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
ტელ: 232 09 78, 591 34 73 77
ელ-ფოსტა: sakmacne@gmail.com
მაღალაშვილის ქ. 5, 0178, თბილისი.

© თ. ჯალაღანია, ჯ.ჯობავა
© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

გამოცემის წელი 2018

ISBN 978-9941-16-684-6

სარჩევი

შესავალი 4

მოსწავლის სახელმძღვანელოს სტრუქტურა.....5

შესაბამისობა მდგრადი განვითარების პრინციპებთან 5

საგნის სწავლების სპეციფიკა და მეთოდური ორიენტირები 7

V კლასის სტანდარტი (მუხლი 89) 9

დაწყებითი საფეხურის (V-VI კლ.) სტანდარტი (მუხლი 78) 13

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (შინაარსისა და მიზნების რუკა) 17

სასწავლო მასალის წარდგენის ფაზების ახსნა-განმარტება 24

გაკვეთილის დაგეგმვა კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიების მიხედვით 26

კომენტარები მასწავლებლის წიგნზე 30

პრაქტიკული რჩევები 31

სანიმუშო გაკვეთილების სცენარები 36

შეფასება 65

შეფასება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში 64

შეფასების კომპონენტები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.

საშინაო და საკლასო დავალებების კომპონენტი 65

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი 67

შემაჯამებელი დავალების ტიპები 68

განვითარების შეფასების რუბრიკა (სახვითი ხელოვნება) 70

შემოქმედებითი პროცესის შეფასების რუბრიკის ნიმუში 73

რესურსები 74

ძირითადი ტერმინები 75

დანართი. ხელოვნების ლექსიკონი 76

შესავალი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი დარგი, მიზნად ისახავს არა მარტო პროფესიული მხატვრული უნარ-ჩვევებისა და სპეციალური ცოდნის მიღებას, არამედ, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, მოსწავლის პიროვნებისა და მისი შესაძლებლობების ყოველმხრივ განვითარებას, რათა მომავალში იგი გახდეს საზოგადოების წარმატებული და სასარგებლო წევრი. სწორედ ამ მიზნისაკენ სწრაფვამ განაპირობა თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმის იმ ძირეული პრინციპების წარმოქმნა, რომლებსაც თავისმხრივ ეყრდნობა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების V კლასის მასწავლებლის ეს წიგნი.

ეს პრინციპებია:

- **შედეგზე ორიენტირება** – მნიშვნელოვანია არა ათვისებული ინფორმაციის ოდენობა, არამედ მისი ხარისხი და მისი გამოყენების უნარი.
- **მოსწავლეზე ორიენტირება** – სწავლება ეფექტიანია მაშინ, როდესაც პროცესის ცენტრში იგულისხმება მოსწავლე, გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური მონაცემები, ცოდნა და გამოცდილება, აღქმისა და აზროვნების თავისებურებანი.
- **ინტეგრირება** – სწავლა-სწავლების პროცესი კომპლექსურ ხასიათს ატარებს და სასწავლო საგანთა შორის კავშირთა გამოვლენას ემყარება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთ მსოფლშეგრძნების მთლიანობის ჩამოყალიბებას, უქმნის მათ წარმოდგენას სამყაროს ერთიანობისა და მოვლენათა ურთიერთკავშირზე.
- **ინტერაქტიურობა** – სწავლება ემყარება დიალოგს სწავლის პროცესის მონაწილეთა შორის (მასწავლებელი-მოსწავლე, მოსწავლე-მოსწავლე), რაც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართვას გაკვეთილის მსვლელობაში, მოტივაციის ამაღლებას, სტიმულს აძლევს დამოუკიდებელ აზროვნებას და ავითარებს კომუნიკაციის უნარს.
- **ეგზისტენციალურობა** – სწავლების პროცესი უნდა ეყრდნობოდეს არა მარტო მოსწავლის ინტელექტს, არამედ მის ხატოვან აზროვნებას, შემოქმედებით ფანტაზიას, ემოციურ სფეროს და სხვ.

მოსწავლის სახელმძღვანელოს სტრუქტურა

მოსწავლის V კლასის სახელმძღვანელო შედგება 4 თავისა და 51 გაკვეთილისაგან. მოსწავლე ეცნობა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ძირითად ელემენტებსა და პრინციპებს, დარგებს და ჟანრებს, გამოსახვის საშუალებებს, მასალებსა და ტექნიკებს, ეპოქებისა და კულტურების ზოგად მახასიათებლებს, განიხილავს ხელოვნების მნიშვნელობას საზოგადოებისთვის და ხელოვნების როლს გარემოს დაცვის საკითხში.

თითოეული გაკვეთილი შეიცავს:

1) მცირე მოცულობის თეორიულ (სამოტივაციო-საინფორმაციო) ნაწილს.

2) კითხვებისა და დავალებების რუბრიკებს, რომლებიც ცისფერი ფონით გამოიყოფა. ა)კითხვების რუბრიკა აღნიშნულია კითხვის ნიშნით და ძირითადად ღია ტიპის სააზროვნო კითხვებს შეიცავს, ბ)დავალებების რუბრიკა აღნიშნულია პალიტრის ნიშნით და აქ მოცემულია გაკვეთილის თემატიკასთან დაკავშირებული პრაქტიკული აქტივობა (ხატვა ფერადი ფანქრებით, გუაშისა და აკვარელის საღებავებით, პასტელით, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, არქიტექტურული მოდელის კონსტრუირება, ქაღალდის პლასტიკა).

3)რუბრიკას „დაიმახსოვრე!", სადაც მოკლედაა განმარტებული გაკვეთილში მოცემული ახალი ტერმინები და დასახელებულ ხელოვანთა ვინაობა, და ა.შ.).

ყოველი თავის ბოლოს მოცემულია დასკვნითი ნაწილი, ანუ შემაჯამებელი გაკვეთილი, რომელიც შეიცავს განვლილი თავის მოკლე რეზიუმეს, თვითშეფასების სქემებს, ინფორმაციული ხასიათის კითხვებს, განვლილი მასალის განმტკიცებისათვის განკუთვნილ სავარჯიშოებს და სხვ.

სახელმძღვანელოს დართული აქვს სარჩევი, შესავალი და ლექსიკონი.

შესაბამისობა მდგრადი განვითარების პრინციპებთან

განათლების თანამედროვე პარადიგმის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორიენტირია მისი შესაბამისობა მდგრადი განვითარების პრინციპებთან. მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელიც წარმოადგინა 1987 წელს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისიამ გ. ჰ. ბრუნდტლანდის ხელმძღვანელობით, დამტკიცებულ იქნა, როგორც განვითარების გლობალური სტრატეგია, 1992 წელს, გაეროს რიო დე ჟანეიროს კონფერენციაზე.

მიჩნეულია, რომ მდგრადი განვითარება ნიშნავს თანამედროვე თაობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მომავალი თაობებისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ძირითადი შემადგენელი ელემენტები, რომლებსაც ეყრდნობა მდგრადი

განვითარების კონცეფცია, წარმოადგენს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ხედვის გაერთიანებას როგორც დღევანდელი, ისე მომავალი კეთილდღეობის მიზნების განხორციელებისთვის. დღეს პრაქტიკულად მთელს მსოფლიოში აღიარებულია შეხედულება, რომლის შესაბამისადაც მდგრადი განვითარების მიღწევის საქმეში მთავარი როლი ენიჭება სწორედ განათლებას, რომელსაც გაეროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში პირდაპირ უწოდებენ „ცვლილებების გადამწყვეტ ფაქტორს“.

განათლება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული აღზრდის ფაქტორი დიდწილად განსაზღვრავს მომავალი თაობების მსოფლმხედველობას და აზროვნების წესს. შესაბამისად, ის ეკოლოგიური აზროვნების საწყისები და სოციალური ქცევისა და შეხედულებების ნორმები, ისევე, როგორც ეკონომიკურ სფეროსთან ნაწილობრივ დაკავშირებული ელემენტარული წარმოდგენები, უნდა ყალიბდებოდეს საწყის ეტაპზევე და, აქედან გამომდინარე, უმცროსი კლასებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს მდგრადი განვითარების პრინციპებს.

რასაკვირველია, სახვითი ხელოვნების სწავლებას დაწყებით საფეხურზე თავისი სპეციფიკა გააჩნია. შესაბამისად, მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა უნდა ხდებოდეს როგორც ასაკობრივი, ისე საგნობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

მოცემული მასწავლებლის წიგნი მჭიდროდაა დაკავშირებული მდგრადი განვითარების პრინციპებთან სწორედ ამ სპეციფიკის საფუძველზე. შესაფერისი მარტივი აქტივობების მეშვეობით მოსწავლე ეცნობა გარემოს და ცხოველთა სამყაროს, შეიტყობს ბუნების დაბინძურებისაგან დაცვის და მეორადი მასალების გამოყენების აუცილებლობის შესახებ, შეიტყობს ეკოლოგიური ხელოვნების და მწვანე არქიტექტურის შესახებ, ეცნობა ხელოვნებაში ოჯახის ასახვის თავისებურებებს, ითვისებს გაკვეთილზე ქცევის წესებს და თანაკლასელებთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობის წესებს, სწავლობს შემოქმედებითი საქმიანობის მეშვეობით (ხატვის, ძერწვის და ა.შ.) საკუთარი გრძნობებისა და აზრების გამოხატვას და ა.შ. (მაგალითად, გაკვეთილები №№: 46. ფოთლების ფაქტურული ანაბეჭდები, 6. საცხოვრებელი არქიტექტურა, 21. ბუნება და ხელოვნება, 29. საახალწლო სამზადისი, 36. დედის დღე და სხვ.).

საგნის სწავლების სპეციფიკა და მეთოდური ორიენტირები

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლების პრაქტიკა ათასწლეულთა წინ ჩაისახა, მაგრამ XIX ს-ის შუახანებამდე იგი პროფესიული ოსტატობის დაუფლებით შემოიფარგლებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ ესთეტიკური აღზრდის ისეთი კორიფეების მოღვაწეობის შედეგად, როგორებიც იყვნენ ჯონ დიუი და ვიქტორ ლოუენფელდი ამერიკაში, ჰერბერტ რიდი და ალბერტ ნორტონ უაითჰედი ინგლისში, ლევ ვიგოტსკი რუსეთში და ა.შ., ყურადღება გამახვილდა სწორედ ესთეტიკური აღზრდის საკითხებზე – შემოქმედებითობისა და აღქმის უნარის განვითარებაზე, თვითგამოხატვის საშუალებებზე, ხელოვნების გზით პიროვნული თვისებების სრულყოფაზე, ხელოვნების მეშვეობით ფსიქიკის გაჯანსაღების (არტთერაპიის) საკითხებზე, ხელოვნების, როგორც ინტელექტის განვითარების საშუალებაზე და სოციალური ადაპტაციის ხერხზე და ა.შ. სწორედ ამ თეორიულ საფუძველზე შეიქმნა მოცემული სახელმძღვანელო.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს წიგნი გათვალისწინებულია ესთეტიკური აღზრდის პროცესის ხელშესაწყობად და გასაიოლებლად და არავითარ შემთხვევაში არ ისახავს მიზნად მოსწავლისა და მასწავლებლის შემოქმედებითი სწრაფვის დამუხრუჭებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მიზნიდან გამომდინარე, მოსწავლეთა ინტერესებისა და მისწრაფებების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია სწავლების პროცესში შეცვალოს ნებისმიერი აქტივობა (შეცვალოს დავალების ფორმა, მასალა, ტექნიკა), თუ იგი შესაფერის მიზან-შედეგობრივ კავშირს ემყარება, აგრეთვე შეცვალოს გაკვეთილის მსვლელობისას თეორიული და პრაქტიკული აქტივობების ხვედრითი წილი, საჭიროებიდან გამომდინარე გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული საილუსტრაციო მასალა და სხვა რესურსები ან მოიშველიოს სხვა შესაფერისი რესურსები (რეპროდუქციები, ფოტოები, სურათები, სტატუეტები და სხვ.). ეს ასპექტი ხაზგასმულია თვით მოსწავლის სახელმძღვანელოშიც.

ხელოვნების სწავლება არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე ფორმით ან მეთოდით – იგი მრავალმხრივი და მრავალგვარია. წამყვანი როლი ენიჭება **შემოქმედებითი (დივერგენტული[1])** სწავლების მეთოდს. მისი გამოყენებისას პრიორიტეტულია მოსწავლის დამოუკიდებლობის, ინდივიდუალურობის და

[1] ფსიქოლოგიაში სამეცნიერო ტერმინი „დივერგენტული" (ლათ. divergere – გაშლა) აღნიშნავს შემოქმედებით მეთოდს, რომელიც პრობლემათა და ამოცანათა გადაჭრისას იხმარება და მოიცავს ისეთ ხერხებს, როგორებიცაა *გონებრივი იერიში* და *მეხსიერების რუკა.*

ინიციატივის განვითარების ხელშეწყობა, შემოქმედებითი უნარისა და წარმოსახვის სტიმულირება, სიახლისა და გამოგონებათა სიყვარულის წაქეზება.

ამ მეთოდით მუშაობისას ძალზე მნიშვნელოვანია **დიფერენცირებული მიდგომა**, დიფერენციაციის სტრატეგიების მოშველიება. მასწავლებელი უნდა იცნობდეს ყოველი მოსწავლის შესაძლებლობებს და სწავლის სტილს და გაითვალისწინოს ეს სწავლების პროცესში. შესაძლებელია დიფერენციაცია ორი ხერხით: 1) დავალების ან 2) შედეგის მიხედვით. პირველ შემთხვევაში მასწავლებელი მოსწავლეებს სხვადასხვა, მათი მომზადებისა და უნართა შესაფერის დავალებებს აძლევს, მეორე შემთხვევაში დავალება იგივეა, მაგრამ სხვადასხვაა მოსალოდნელი შედეგი, რომელსაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ.

სახვითი ხელოვნების სწავლებისას დიდი როლი ენიჭება აგრეთვე **კვლევით** მეთოდს, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა მიერ შემოქმედეიბითი ამოცანის დამოუკიდებლად გადაწყვეტაზე. მისი ფორმებია ექსპერიმენტი, ცდა და ა.შ. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს აღმოჩენის გზით ცოდნის დამოუკიდებლად მოპოვებაში. ამ მეთოდის გამოყენებისას ყურადღება უნდა მიექცეს დასახული ამოცანის რეალურად მისაწვდომ ხასიათს და დიფერენცირებულ მიდგომას.

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც ხშირად გამოიყენება სახვითი ხელოვნების სწავლებისას და ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედების განვითარებას, არის **ევრისტიკული**[2] მეთოდი. იგი გულისხმობს მოსწავლის მიერ პრობლემური ამოცანის გადაჭრას მასწავლებლის დახმარებით, როდესაც მისი შეკითხვა ნაწილობრივ შეიცავს პრობლემის გადაწყვეტას ან მის ეტაპებს. ყველაზე უკეთ ამ მეთოდის რეალიზება შესაძლებელია ინტერაქტიური საუბრის მეშვეობით.

შემოქმედებითობის განვითარებას ნაკლებად ემსახურება **ახსნით-ილუსტრაციული** და **რეპროდუქციული** მეთოდები. პირველი გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას ბავშვისთვის, თხრობას, თვალსაჩინოების დემონსტრირებას, რაც უფრო ხშირად სწავლების პირველ ეტაპზე იხმარება და ძირითადად მეხსიერებას ავითარებს. მეორე გულისხმობს რაიმე მოქმედების მრავალჯერად გამეორებას (რეპროდუქციას). მისი ფორმებია: ერთტიპური სავარჯიშოები, მსგავს დავალებათა შესრულება, განვლილი მასალის გამეორება და ა.შ. ეს მეთოდი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცებისთვის არის საჭირო.

[2] ევრისტიკა (ბერძნულად – აღმოვაჩენ, მოვიძიებ) – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის შემოქმედებითი საქმიანობის თავისებურებებს.

წიგნში მოცემული მასალა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, საჭიროების მიხედვით გამოიყენოს ზემოხსენეული მეთოდები სასწავლო მიზნების განხორციელებისათვის.

თემატიკა და აქტივობები შერჩეულია საგნობრივ პროგრამაზე დაყრდნობით. მისი მიზანია, სრულად მივაღწიოთ იმ შედეგებს, რომლებიც გათვალისწინებულია სამივე მიმართულებით. (პრაქტიკული უნარ-ჩვევები და იდეათა განვითარება, კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია, ხელოვნების აღქმა კონტექსტში).

მუხლი 89. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წლიური პროგრამები

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება დაწყებით საფეხურზე

V კლასი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა

ს.გ.V.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების მიზანმიმართულად გამოყენება ნამუშევარში ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და შთაბეჭდილებების გადმოსაცემად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სხვადასხვაგვარი მონასმებითა და ეფექტებით გადმოსცემს განწყობილებას;
- იყენებს სხვადასხვა ტიპისა და სისქის ხაზს, კონტურსა და შტრიხს;
- იყენებს კონტრასტულ ფერებსა და ფერის გრადაციას;
- ცდილობს შუქ-ჩრდილის, ათინათის და დაცემული ჩრდილის საშუალებით გამოსახოს საგანთა მოცულობა;
- ირჩევს სასურათე სიბრტყის ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ პოზიციას ჩანაფიქრის უკეთ გადმოსაცემად;
- გამოსახულებას გააზრებულად ანაწილებს სასურათე სიბრტყეზე;
- ავლენს პერსპექტივის კანონების ელემენტარულ/საწყის ცოდნას - წინა და უკანა ხედების გამოყენებით;
- სივრცის გამოსახატავად იყენებს ნახევარტონებს (წინა ხედი - მკვეთრი, უკანა ხედი მკრთალი);
- ქმნის სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ნამუშევრებს;
- სხვადასხვა ხერხით (ფორმით, ზომით, ფერით) გამოყოფს ნამუშევარში მთავარს;
- სხვადასხვა მხატვრული ხერხით ნამუშევარში გადმოსცემს დინამიკასა და სტატიკას (ფიგურების მოძრაობა, ქარი);
- გადმოსცემს საგნის საერთო პროპორციას.

ს.გ.V.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის მიზანმიმართულად შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს განსხვავებულ ხერხებს, ატარებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა მასალის, ტექნიკის გამოყენებით მოცემულობის უკეთ შესასრულებლად;
- ავითარებს მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის (ტრადიციული, არატრადიციული) გამოყენების ხერხებს სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრების შესაქმნელად (პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი, ყოფითი ჟანრი);
- ავითარებს სხვადასხვა მასალის (ბუნებრივი, ხელოვნური) გამოყენების გზებს მცირე პლასტიკის ნიმუშების, მარტივი კომპოზიციებისა და კონსტრუქციების შესაქმნელად;
- ქმნის დეკორატიულ და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით;
- ავითარებს მრავალფეროვანი ტექნიკის გამოყენების გზებს გარემოში არსებული განსხვავებული ფაქტურის იმიტაციის/ილუზიის შესაქმნელად;
- კომპიუტერულ სახატავ პროგრამაში ქმნის რიტმულ, სიმეტრიულ, ასიმეტრიულ ნამუშევრებს, გამოყოფს ნამუშევარში მთავარს, იყენებს კონტრასტულ ფერებს; ირჩევს სასურათე სიბრტყის ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ პოზიციას, გამოსახულებას გააზრებულად ანაწილებს სასურათე სიბრტყეზე.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ს.გ.V.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება შემოქმედებითი და საორგანიზაციო პრობლემის გადასაჭრელად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ერთობლივი მუშაობისას (ღონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;
- თანამშრომლობს სხვებთან საერთო პრობლემის გადაჭრისას;
- უზიარებს თანაკლასელებს დაკვირვების შედეგებს და საკუთარ გამოცდილებას;
- იჩენს სხვებთან თანამშრომლობის ინიციატივას, ეხმარება სხვებს კონკრეტული ამოცანის შესრულებაში;
- ვირტუალურ ჯგუფებში აზიარებს საკუთარ ციფრულ ნამუშევარს;
- იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას.

ს.გ.V.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით საუბარი გამოყენებული ხერხების შესახებ საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებში შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ და გამოყენებულ პრინციპებზე, ელემენტებზე, ხერხებზე, მასალაზე, ტექნიკაზე და სხვ.;
- საუბრობს ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, აღძრულ შთაბეჭდილებებზე, განწყობილებაზე (რა განწყობილებას უქმნის ესა თუ ის ხაზი, ფერი, ფორმა და სხვ.) და საკუთარ დამოკიდებულებაზე ხელოვნების ნაწარმოების მიმართ;

- იყენებს შესაბამის ტერმინებს ნამუშევარზე საუბრისას;
- უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას მსჯელობის, დისკუსიის დროს, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;
- ნამუშევრის წარდგენისას მხარს უჭერს და ამხნევებს თანაკლასელებს.

მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ს.გ.V.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების დაკავშირება ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს სხვადასხვა კულტურის ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს ძირითადი მახასიათებლების მიხედვით (არქიტექტურული ძეგლები, დეტალები, ორნამენტი და სხვ.);
- საუბრობს ცნობილი არქიტექტურული ძეგლების ფუნქციურ დანიშნულებაზე (თავდაცვითი, საკულტო, საყოფაცხოვრებო არქიტექტურა და სხვ.);
- მსჯელობს ხელოვნების სხვადასხვა დარგის (სახვითი, დეკორატიული) ცალკეული ნიმუშის დანიშნულებაზე (გამოყენებითი, რელიგიური, ესთეტიკური, საინფორმაციო);
- გამოთქვამს მოსაზრებას, რომელი სოციალური ფენისთვის იყო განკუთვნილი გამოყენებითი ხელოვნების ესა თუ ის ნიმუში;
- საუბრობს, როგორ აისახება ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების ნიმუშებში (მაგ., დღესასწაული, ისტორიული ფაქტი და სხვ.).

ს.გ.V.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს ქართულ ხელოვნებასა და ხელოვნების მოღვაწეებზე მსჯელობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს ქართული ქანდაკებისა და არქიტექტურის რამდენიმე ნიმუშზე;
- მსჯელობს მატერიალური კულტურის ძეგლებზე, რომლებიც უნახავს და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას;
- ამოიცნობს რამდენიმე ცნობილი ქართველი მხატვრისა და მოქანდაკის ნამუშევარს და საუბრობს საკუთარ დამოკიდებულებაზე.

შინაარსი და რეკომენდაციები

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ხაზი: სხვადასხვა ტიპის და სისქის ხაზი, კონტური და შტრიხი.

აქტივობები ხაზით:
მხოლოდ შავი ფანქრის საშუალებით მრავალი დეტალის გამოყენებით მოსწავლე გამოსახავს საკუთარ თავსა და სხვებს სხვადასხვა რეალურ და გამოგონილ სიტუაციაში, იყენებს სხვადასხვა სისქის ხაზს, კონტურს.

ასრულებს გრაფიკულ ნამუშევარს ფუნჯით და ერთი ფერის საღებავით. ამისთვის ჯერ ვარჯიშობს სხვადასხვა ტიპის ხაზის ფუნჯით შესრულებაში (მასწავლებელმა უნდა აჩვენოს, როგორ იცვლება ხაზის სისქე ფუნჯზე დაწოლის რეგულირებით). შთაგონებისთვის შესაძლებელია დაათვალიეროს ჩინური და იაპონური გრაფიკის ნიმუშები.

ფერი: ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული ფერები, ტონალობა - თეთრის ან შავი ფერის დამატებით მიღებული ტონი, ნახევარტონები, ფერის გრადაცია.

აქტივობები ფერით და ხაზით:
მოსწავლე შავი ფლომასტერით ფურცელზე, ხელის აუღებლად ხატავს კონტურულ მონახაზს (ხაზი მრავალჯერ უნდა გადაიკვეთოს ისე, რომ გადაკვეთის ადგილებზე მიღებული ფორმები არ იყოს ძალიან პატარა ზომის). მიღებულ შემოფარგლულ ფორმებს აფერადებს საპირისპირო (კონტრასტული) და მონათესავე ფერებით. იმისთვის, რომ ნახატი უფრო ეფექტური იყოს, გაფერადებული მონაკვეთები შეიძლება დაიშტრიხოს, დაიკოპლოს, ჩაიხატოს რაიმე დეტალები; ხაზებს ზოგ ადგილას დაემატოს სისქე და ა.შ.

ფორმა: 2D და 3D - ბრტყელი და მოცულობითი, სიმეტრიული და ასიმეტრიული.
აქტივობები ფორმით:

მცირე ზომის კოლოფებს (ასანთის, სუნამოს) მოსწავლეები ღებავენ თეთრი საღებავით, ან აწებებენ გარშემო თეთრ ქაღალდს, ასევე, თეთრი ფურცლისგან აკეთებენ კონუსს და პირამიდას. გეომეტრიულ მოდელებზე აკვირდებიან, თუ როგორ ეცემა მათზე სინათლის სხივი. ასევე მასწავლებელმა დაფაზე სქემატურად შეიძლება აჩვენოს საგნები და სხვადასხვა კუთხით დაცემული ჩრდილები. შემდეგ, მოსწავლეები ხატავენ გეომეტრიულ მოდელებს სხვადასხვა განათებით (პირდაპირი და გვერდითი) და აფერადებენ ჩრდილებს (ჩრდილების გაფერადებისას არ მოეთხოვებათ ჩრდილების გრადაცია – საკმარისია, ერთი გვერდი მეორეზე მუქი დაიხატოს).

პრინციპები: კომპოზიციური განაწილების საფუძველი (ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა, ფორმატზე გამოსახულების განაწილება); რიტმი, ძირითადის გამოყოფა, სიმეტრია და ასიმეტრია, სტატიკა, დინამიკა, კონტრასტი, პროპორცია, სივრცე (პერსპექტივის კანონები - წინა და უკანა ხედები).

გამოყენებული პრინციპები:

მოსწავლე გამოსახავს ადამიანის ფიგურას ძირითადი პროპორციების გათვალისწინებით (მარტივად);
აკვირდება, როგორ იცვლება ობიექტის ზომა, ფერი, სიმკვეთრე დამკვირვებლისგან დაშორების მიხედვით და ასახავს ნამუშევარში;
ხატავს პეიზაჟს წინა და უკანა ხედების გამოყენებით.

მოსწავლე ეცნობა სასურათე სიბრტყის გამოყენებისა და კომპოზიციის ელემენტარულ წესებს (ფურცელზე საგნები და ფიგურები უნდა განაწილდეს თანაბრად, ისე, რომ "თვალს არ აღიზიანებდეს" გადატვირთული, ან ცარიელი ადგილები. გამოსახული საგნები არ უნდა იყოს ძალიან პატარა, ან ისეთი ზომის, რომ ვერ ეტეოდეს ფურცელზე).

მასალა და იარაღი: ფანქარი (ფერადი, უბრალო), პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, ძაფი, თოკი, მავთული, პლასტილინი, თიხა, ბუნებრივი, ხელოვნური, ტრადიციული და არატრადიციული მასალა (პლასტმასის და მინის ბოთლები, ლითონის ნივთები, მუყაოს და პოლიეთილენის პარკები და სხვ.), ფუნჯი, მაკრატელი, წებო, სადურგლო, სამეთუნეო, საქსოვი, სამკერვალო იარაღი და სხვა.

ტექნიკა და პროცედურა: ფერწერა, გრაფიკა და მათი ტექნიკები (მონასმი, ლაქა, ანაბეჭდი), გრაფიტი, ძერწვა, აპლიკაცია, ქაღალდის ნაკეთობები, მოზაიკა, კოლაჟი, მონოტიპია, მოდელირება, კონსტრუქცია, ფარდაგი, თექა, გობელენი, ნაქარგობა, კომპიუტერული ტექნოლოგიები (სახატავი პროგრამა, ტექსტური რედაქტორი); დაჭრა, დაწებება, ამოკაწვრა, ღუნვა, გრეხვა, დაწვნა.

გამოყენებული მასალა და ტექნიკა:

მოსწავლეს სახლიდან მოაქვს პატარა ზომის ნაჭრები რაიმე მოხატულობით და ზევიდან საღებავით ახატავს, აგრძელებს, ამთავრებს მის მოხატულობას (იმისთვის, რომ გუაშის საღებავი არ გადავიდეს, ფერებს უნდა შეერიოს რამდენიმე წვეთი წყალგამძლე (პვა) წებო).

პლასტილინის (რომელიც ხმება) ან მარილიანი ცომისგან მოსწავლე ამზადებს ნებისმიერი ფორმის ჩარჩოს – მრგვალი, ოვალური, მართკუთხა... ჩარჩოზე ამოკაწრავს ორნამენტებს. როდესაც ჩარჩო გაშრება, იგი უნდა დაწებდეს შესაფერისი ფორმის მუყაოს ნაჭერზე და გაუკეთდეს საკიდი.

ზოგადი აქტივობები:

მოსწავლე აკვირდება გარემოში საგნებს, ობიექტებს, მოვლენებს და ასახავს ნამუშევარში;
ხატავს პორტრეტს, ნატურმორტსა და პეიზაჟს ნატურიდან და მეხსიერებით მეტი დეტალის გამოყენებით;
წარმოსახვით ქმნის პერსონაჟებს;
ასახავს თავისი ცხოვრების საინტერესო, ან მნიშვნელოვან მომენტებს და ცდილობს გადმოსცეს საკუთარი გრძნობები მათ მიმართ;
ირჩევს მხატვრულ ხერხებს გარკვეული იდეის გადმოსაცემად (მაგ. ქმნის პლაკატს ეკოლოგიურ ან სხვა თემაზე);
გამოსახავს ახლობელ ადამიანებს (ოჯახის წევრები, მეგობრები და სხვ.), საყვარელ ლიტერატურულ გმირებს და ცდილობს მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემას.

სავარაუდო თემები: “მზის ჩასვლა ზღვაში”, “შემოდგომის/გაზაფხულის წვიმა”, “რთველი”, “მშობლიური კუთხე” “ქვის ხანის ადამიანი”, “დინოზავრები”, “მითოლოგიური გმირები”, “სემირამიდას დაკიდული ბაღები”, “საყვარელი ისტორიული გმირი”, ”დედამიწა - ჩემი სახლი”, ”ერთგულება”, "ექსკურსია" და სხვ. (შეიძლება იყოს ადგილობრივი საწარმოს, არქიტექტურული ძეგლის, ადგილობრივი და უცხოური ტრადიციის ამსახველი თემებიც, ყოფითი სცენები, რეალურად მომხდარი საზოგადო მოვლენები, პირადი მნიშვნელობის მქონე ფაქტები, ასევე, თემები საკუთარი ფანტაზიის მიხედვით და სხვა.

მუხლი 78. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება დაწყებით საფეხურზე

V-VI კლასების სტანდარტი

ა) მისაღწევი შედეგები VI კლასის ბოლოს
ინდექსების განმარტება
დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ს.გ.დაწყ.(II).1.:**
„ს.გ“ - მიუთითებს საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“;
„დაწყ“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;
„(II)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს V-VI კლასებს;
„1“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	
შედეგების ინდექსი	**სტანდარტის შედეგები**
	1. იმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა
ს.გ.დაწყ.(II).1.	მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების მიზანმიმართულად გამოიყენება ნამუშევარში ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და შთაბეჭდილებების გადმოსაცემად.
ს.გ.დაწყ.(II).2.	მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის მიზანმიმართულად შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.
	2. იმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია
ს.გ.დაწყ.(II).3.	მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება შემოქმედებითი და საორგანიზაციო პრობლემის გადასაჭრელად.
ს.გ.დაწყ.(II).4.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით საუბარი გამოყენებული ხერხების შესახებ საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებში შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.
	3. იმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში
ს.გ.დაწყ.(II).5.	მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების დაკავშირება ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტთან.
ს.გ.დაწყ.(II).6.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ქართულ ხელოვნებასა და ხელოვნების მოღვაწეებზე მსჯელობა.

ბ) შინაარსი

სახვითი ხელოვნების ელემენტები: ხაზი (სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; განსხვავებული სისქის კონტური, შტრიხი); ფერი (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული, მონათესავე, ტონალობა - თეთრის ან შავი ფერის დამატებით მიღებული ტონი, ნახევარტონები, ფერის გრადაცია); ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, ბრტყელი და მოცულობითი - 2D და 3D).

სახვითი ხელოვნების პრინციპები: კომპოზიციური განაწილების საფუძველი (ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა, ფორმატზე გამოსახულების განაწილება); რიტმი, ძირითადის გამოყოფა, სიმეტრია და ასიმეტრია, კონტრასტი, სტატიკა, დინამიკა, საგანთა თანაფარდობა და პროპორცია, სივრცე (პერსპექტივის კანონები - წინა, შუა და უკანა ხედები), წონასწორობა, ხედვის წერტილი.

ტექნიკა და პროცედურა: ფერწერა, გრაფიკა და მათი ტექნიკები (მონასმი, ლაქა, ანაბეჭდი), ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, მონოტიპია, მოდელირება, კონსტრუქცია, კომპიუტერული ტექნოლოგიები (სახატავი პროგრამა, ტექსტური რედაქტორი, საპრეზენტაციო პროგრამა); დაჭრა, დაწებება, ამოკაწვრა, ღუნვა, გრეხვა, დაწვნა, ქარგვა, ქსოვა, კერვა, ხეზე კვეთა და სხვა.

სარეკომენდაციო მასალა და იარაღი: ფანქარი, პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ტემპერა, ტუში, მელანი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ცარცები, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, ძაფი, თოკი, მავთული, პლასტილინი, თიხა, სხვა მასალა (ტრადიციული და არატრადიციული, ბუნებრივი და ხელოვნური), ფუნჯი, მაკრატელი, წებო, სადურგლო, სამეთუნეო, საქსოვი, სამკერვალო იარაღი და სხვა.

სახვითი ხელოვნების დარგები: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, კედლის მხატვრობა, ხელნაწერთა მინიატურა, ჭედურობა, კერმიკა და სხვ.

სახვითი ხელოვნების ჟანრები: ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი და სხვ

მოსწავლის სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული თემატიკა და აქტივობები შერჩეულია საგნობრივ პროგრამაზე დაყრდნობით. მისი მიზანია, სრულად მივაღწიოთ იმ შედეგებს, რომლებიც გათვალისწინებულია სამივე მიმართულებით. (შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია, ხელოვნების აღქმა კონტექსტში.)

შინაარსისა და მიზნების რუკა

თემა	**სასწავლო მიზნები და შედეგები**
1. ხელოვნების სათავეები და მითოლოგია	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეს მითები და ლეგენდები ხელოვნების შექმნაზე და მათთან დაკავშირებული სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები, ხელი შევუწყოთ მოსწავლის მსჯელობის უნარის, წარმოსახვისა და ფანტაზიის განვითარებას. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
2. კერამიკის ისტორიიდან	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეს დეკორატიულ-გამოყენებითი დარგის მნიშვნელოვანი დარგი – კერამიკა და ძველბერძნული კერამიკის ტიპები ვეჯვუდის კერამიკასთან მისი შედარების საფუძველზე. მოსწავლე ასრულებს თემასთან დაკავშირებულ დამოუკიდებელ სამუშაოს, რაც ხელს უწყობს ანალიზის უნარის, დაკვირვებულობის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
3. ნახატის ისტორია	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეს გრაფიკული მასალებით და განსაკუთრებით ფანქრით ხატვის ისტორია, განვავითაროთ დაკვირვებისა და მსჯელობის უნარი. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
4. ნახატის ხელოვნება	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეს შავი და ფერადი ფანქრებით მუშაობის ზოგიერთი ძირითადი ხერხი (კონტურით ხატვა, დაშტრიხვა, შეზავება და ა.შ.) და განვამტკიცოთ მათი ფლობა სავარჯიშოების და დამოუკიდებელი პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე, განვავითაროთ მოსწავლის შემოქმედებითი უნარი, ფანტაზია და ხელის მოტორიკა. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
5. მხატვარი მხატვრის თვალით	**მიზნები** გამოჩენილ მხატვართა ავტოპორტრეტების გაცნობის, მსჯელობისა და შედარება-შეპირისპირების საფუძველზე და ავტოპორტრეტის ესკიზების შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა დაკვირვებულობა, ანალიზისა და მსჯელობის უნარები და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

6. საცხოვრებელი არქიტექტურა	**მიზნები** მოსწავლე ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნის საცხოვრებელთა ტიპებს და ქაღალდის პლასტიკის ტექნიკის მეშვეობით ასრულებს იაპონური სოფლის ამსახველ ნამუშევარს, მონაწილეობს პრეზენტაციაში. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
7. ფერით ასახული მელოდია	**მიზნები** მოსწავლე სხვადასხვა ცნობილი ნაწარმოებების: XVII საუკუნის ნატურმორტების, XX ს-ის კუბისტური კოლაჟების გაცნობის შემდეგ ასრულებს დამოუკიდებელ სამუშაოს გაკვეთილის თემაზე, რაც ხელს უწყობს მისი შემოქმედებითი უნარისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
8. მსახიობი მხატვრის თვალით	**მიზნები** შევუქმნათ მოსწავლეს წარმოდგენა სახვით ხელოვნებაში თეატრისა და საცირკო თემათიკის შესახებ. ცნობილი ხელოვანების ნაწარმოებების გაცნობის და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა მსჯელობისა და ანალიზის უნარი და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
9. თეატრალური შენობები	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეს თეატრალური არქიტექტურის ზოგადი ისტორია და მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშები, განვავითაროთ მოსწავლეთა მსჯელობისა და შედარების უნარი. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
10. გააკეთე თეატრალური დეკორაცია	**მიზნები** ქაღალდისაგან თეატრალური დეკორაციის შექმნის პროცესში განვავითაროთ მოსწავლის პრაქტიკული უნარ–ჩვევები ქაღალდის პლასტიკის ტექნიკაში, განვავითაროთ მათი ფანტაზია და გემოვნება. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
11. ნიღბები	**მიზნები** შევუქმნათ მოსწავლეს წარმოდგენა იმაზე, თუ რა როლი აქვს ნიღაბს სხვადასხვა სფეროში და განსაკუთრებით – თეატრში. ორიგინალური ნიღბის მოფიქრებისა და შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლის

	შემოქმედებითი უნარი, ფანტაზია და გემოვნება. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
12. შემაჯამებელი გაკვეთილი	**მიზნები** შესაბამისი კითხვებისა და დავალებების საშუალებით განვავითაროთ მოსწავლის თვითშეფასების უნარი, განვამტკიცოთ მისი ცოდნა და მეხსიერება. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
13. ფერი და ტონი	**მიზნები** მოსწავლე ეცნობა ფერადოვანი ტონების ცნებას და პრაქტიკის საფუძველზე ითვისებს ფერის ტონალური გრადაციის შესრულებას. ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
14.დამატებითი ფერები	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეებს დამატებითი (კონტრასტული) ფერები და მათი მნიშვნელობა, პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე. განვავითაროთ დაკვირვების უნარი, გემოვნება და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
15. მუსიკა ხელოვანის თვალით	**მიზნები** მოსწავლე სხვადასხვა კულტურების ცნობილი ხელოვანების ნაწარმოებების გაცნობის საფუძველზე ეცნობა მუსიკის როლს სახვით ხელოვნებაში და აცნობიერებს ხელოვნების ამ ორი სახეობის ურთიერთკავშირს. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
16. ცეკვა ხელოვანის თვალით	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეს ცეკვის, როგორც სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ფართო თემის მნიშვნელობა. გავაღრმაოთ მისი ცოდნა ხელოვნებაში დინამიკის შესახებ. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
17. მუსიკა, ცეკვა, ნახატი	**მიზნები** დისნეის მუსიკალური ანიმაციური ფილმების გაცნობის საფუძველზე ვაჩვენოთ მოსწავლეებს კავშირი მუსიკას, ნახატსა და მოძრაობას შორის. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
18. ვხატავთ ანიმაციურ პერსონაჟებს	**მიზნები** ხელი შევუწყოთ მოსწავლეებს ანიმაციური პერსონაჟების უბრალო ფორმით გამოსახვის საფუძველზე პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და ხელის მოტორიკის განვითარებაში **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
19. ცეკვა ქანდაკებაში – შეჩერებული მოძრაობა	**მიზნები** ვაჩვენოთ მოსწავლეებს, თუ როგორ შეიძლება გამოისახოს დინამიკა პლასტიკური ხერხებით, განვავითაროთ მოსწავლეთა დაკვირვებისა და მსჯელობის უნარი.

	შედეგები ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
20. ვძერწავთ ფიგურას მოძრაობაში	**მიზნები** პრაქტიკული სამუშაოს შესარულების საფუძველზე მოსწავლე სწავლობს პლასტიკური (ძერწვის) ხერხებით დინამიკის გამოსახვა. ამით ვითარდება მისი შემოქმედებითი უნარი და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
21. თიხა და პლასტილინი	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეებს თიხისა და პლასტილინის თავისებურება და სპეციფიკა, დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მისი პრაქტიული უნარ–ჩვევები და შემოქმედებითობა. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
22. ბუნება და ხელოვნება	**მიზნები** პეიზაჟის ჟანრის ნაწარმოებების გაცნობისა და შედარების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა მსჯელობის უნარი, ანალიტიკური აზროვნება და დაკვირვების უნარი. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
23. სივრცე და სიღრმე	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეს სივრცისა და სიღრმის გამოსახვის ზოგიერთი ხერხი, ელემენტარულ დონეზე ვასწავლოთ მათ სივრცის ილუზიის შექმნის მეთოდები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
24. ვხატავთ პეიზაჟს	**მიზნები** ცნობილი მხატვრების ნამუშევრების გაცნობის და დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევეი, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1 ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
25. ხედვის წერტილი მხატვრობაში	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეს ხედვის წერტილის შერჩევისა და გადმოცემის მნიშვნელობა ფერწერული ნამუშევრის შექმნის დროს, განვავითაროთ მოსწავლის დაკვირვების, ანალიზისა და მსჯელობის უნარი, დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების საშუალებით განვავითაროთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ფანტაზია. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
26. ვხატავთ ეგვიპტური სტილით	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეს ეგვიპტური კედლის მხატვრობის ზოგადი პრინციპები და ხედვის წერტილების გაერთიანების ფენომენი, დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების საშუალებით განვავითაროთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ფანტაზია. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4ს.გ.დაწყ.(I).6.
27. შემაჯამებელი გაკვეთილი	**მიზნები** შესაბამისი კითხვებისა და დავალებების საშუალებით

	განვავითაროთ მოსწავლის თვითშეფასების უნარი, განვამტკიცოთ მისი ცოდნა და მეხსიერება. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
28. საახალწლო ტრადიციები	**მიზნები** საახალწლო ტრადიციების გაცნობით და დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების საშუალებით განვავითაროთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ფანტაზია, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
29. ზამთრის პეიზაჟი	**მიზნები** დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების საშუალებით განვავითაროთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ფანტაზია. განვავითაროთ მოსწავლის გემოვნება, დაკვირვების უნარი და ხელის მოტორიკა. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5,
30. საახალწლო სამზადისი	**მიზნები** დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების საშუალებით განვავითაროთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ფანტაზია. განვავითაროთ მოსწავლის გემოვნება, დაკვირვების უნარი და ხელის მოტორიკა. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4,
31. ტრადიციები მსოფლოის ხალხთა ხელოვნებაში	**მიზნები** გავაფართოვოთ მოსწავლეთა წარმოდგენა მსოფლოის ხალხების კულტურების შესახებ, განვავითაროთ მოსწავლის ანალიტიკური აზროვნება, ფანტაზია და მსჯელობის უნარი. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
32. ჩინეთი – საოცარ აღმოჩენათა ქვეყანა	**მიზნები** ჩინური კულტურის მაგალითზე გავაფართოვოთ მოსწავლეთა წარმოდგენა მსოფლოის ხალხების კულტურების შესახებ, განვავითაროთ მოსწავლის შემოქმდებითი აზროვნება, ფანტაზია და მსჯელობის უნარი. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
32. ნატურმორტი	**მიზნები** ცნობილი მხატვრების ნამუშევრების გაცნობის საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა მსჯელობისა და ანალიზის უნარი, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
34. როგორ ძერწავს ფორმას სინათლე	**მიზნები** განვავითაროთ მოსწავლეთა ყურადღება და ინტერესი ბუნების მიმართ, ფერწერის უნარები და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
35. რა არის კომპოზიცია	**მიზნები** ცნობილი მხატვრების ნამუშევრების გაცნობის და

	დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევები, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
36. ვხატავთ ნატურმორტს	**მიზნები** ცნობილი მხატვრების ნამუშევრების გაცნობის და დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევები, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
37 დედის დღე	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეებს დედის დღესთან დაკავშირებული ტრადიციები და ლეგენდები, განვავითაროთ მოსწავლეთა შემოქმედებითობა, ფანტაზია, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
38. საჩუქარი დედისთვის	**მიზნები** დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ფანტაზია, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4
39. აღდგომა	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეებს აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, განვავითაროთ მოსწავლეთა შემოქმედებითობა, ფანტაზია, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
40. ვაფორმებთ სააღდგომო კვერცხს	**მიზნები** სააღდგომო კვერცხების გაფორმების პროცესში მოსწავლეები ავითარებენ თავის გემოვნებას და დეკორატიულ უნარებს და აგრეთვე ეცნობიან ტრადიციების სფეროს. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
41. ჩვენი არქიტექტურული ძეგლები	**მიზნები** მოსწავლეთა მიერ ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
42. სადღესასწაულო ბარათი „ქართული ტაძარი“	**მიზნები** პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფანტაზია, გემოვნება, დეკორატიული და შემოქმედებითი უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
43. ვიყენებთ ჩარჩოს კომპოზიციის ასაგებად	**მიზნები** უჩვეულო სააღდგომო სამშვენისის შესრულების

	საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფანტაზია, ფერის გრძნობა და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
44. ფონიც მნიშვნელოვანია!	**მიზნები** ვიზუალური მასალის დათვალიერების, წარმოსახვის და პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა ფანტაზია, თვითმყოფადი ხედვა და კომპოზიციური უნარ-ჩვევები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
45. საგანი და ფაქტურა	**მიზანი** გავაცნოთ მოსწავლეს საღებავისა და სასურათო ზედაპირის ფაქტურის, მონასმის სახესხვაობების მნიშვნელობა, ნამუშევართა შედარების საფუძველზე განვავითაროთ დაკვირვებისა და მსჯელობის უნარი. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
46. ფერი და ფაქტურა	**მიზნები** პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე გავაღრმაოთ მოსწავლეთა ინტერესი მშობლიური ენისადმი, განვავითაროთ ფანტაზია და შემოქმედებითობა. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.
47. ფოთლების ფაქტურული ანაბეჭდები	**მიზნები** დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევეი, ფანტაზია, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5,
48. ხალიჩა	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეებს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მნიშვნელოვანი დარგის – ხალიჩის როლი და მისი მნიშვნელობა, სხვადასხვა ტიპის ხალიჩების შედარების საფუძველზე განვავითაროთ დაკვირვებისა და მსჯელობის უნარი. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
49. რეკლამის ხელოვნება	**მიზნები** გავაცნოთ მოსწავლეს სხვადასხვა მიმართულების ცნობილ მხატვართა შემოქმედების კავშირი რეკლამასთან. პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე განვამტკიცოთ მიღებული ცოდნა, განვავითაროთ შემოქმედებითი აზროვნება და კომპოზიციური უნარ-ჩვევები **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).2, ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, ს.გ.დაწყ.(I).6.
59. მუზეუმი	**მიზნები** გავაცნოთ მუზეუმის როლი საზოგადოების ცხოვრებაში. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).1, ს.გ.დაწყ.(I).2, ს ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

51. შემაჯამებელი გაკვეთილი	**მიზნები** შესაბამისი კითხვებისა და დავალებების საშუალებით განვავითაროთ მოსწავლის თვითშეფასების უნარი, განვამტკიცოთ მისი ცოდნა და მეხსიერება. **შედეგები** ს.გ.დაწყ.(I).3, ს.გ.დაწყ.(I).4, გ.დაწყ.(I).5, ს.გ.დაწყ.(I).6.

სასწავლო მასალის წარდგენის ფაზების ახსნა-განმარტება

გაკვეთილთა სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო მასალის წარდგენის შემდეგ ფაზებს:

ა. მოტივაცია.

ბ. საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა

გ. ძირითადი სასწავლო მასალა (მაგ., ტექსტი, ილუსტრაცია).

დ. საწყის ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები.

ე. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები.

ვ. დამოუკიდებელი სამუშაო.

ა. მოტივაცია. მოტივაცია ნიშნავს სტიმულის ან მიზეზის არსებობას რაიმე მიზნის მისაღწევად ძალისხმევის გაკეთებისთვის. არსებობს მოსწავლის მოტივაციის გარეგანი და შინაგანი ფორმები. გარეგანი გულისხმობს, მაგალითად, ნიშნის მიღების სურვილს ან წარუმატებლობის შიშს. შინაგანი მოტივაცია გულისხმობს ახალი ცოდნის მიღების სურვილს, შემოქმედებითი ამოცანის გადაჭრისადმი ინტერესს და ა.შ. სწორედ მოტივაციის შინაგან ფორმაზეა ორიენტირებული სწავლების თანამედროვე კონცეფცია. შინაგანი მოტივაციის წარმოქმნისათვის აუცილებელი პირობაა პოზიტიური გარემო კლასში, მასწავლებლის მხრიდან მასტიმულირებელი, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, მოსწავლის მზადყოფნა სწავლისათვის. მასალა სწორად უნდა იყოს ორგანიზებული. გაკვეთილის დასაწყისშივე მოსწავლეთა მოტივაციის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია შემდეგი ხერხები: **ა)** გაკვეთილი იწყება ფრაზით, სადაც ახალი მასალა ეყრდნობა უკვე არსებულ ცოდნას და გამომდინარეობს მისგან. **ბ)** გაკვეთილი იწყება ინტერესის აღმძვრელი ინფორმაციით, **გ)** გაკვეთილი იწყება ინტერაქტიური შეკითხვით.

ბ. საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა. ეს გაკვეთილის მომდევნო ფაზაა. თუ მოსწავლეს გაცნობიერებული არა აქვს მიზანი, სასწავლო ამოცანა, მაშინ სწავლაც გაძნელებულია. თუ დავეხმარებით მას ამოცანის გააზრებაში, იგი მიზანმიმართულად შეეცდება მის მიღწევას. უმცროსკლასებში მასწავლებელს შეუძლია თავად გააცნოს იგი მოსწავლეებს (იხ. შინაარსისა და მიზნების რუკა.)

გ. ძირითადი სასწავლო მასალა. ნათელი, კარგად ჩამოყალიბებული მასალა ადვილად ასათვისებელია მოსწავლისათვის, რაც ზრდის მოტივაციას და გვეხმარება მიზნის მიღწევაში. მასალა – ინფორმაცია, რეპროდუქციები, კომპიუტერული გამოსახულებები, ფოტოები, სქემები – იძლევა იმის საშუალებას, რომ გაკვეთილის მიზანი განვახორციელოთ. თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სურვილის შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს დამატებითი რესურსები თავისი შერჩევით, მაგ. აჩვენოს მოსწავლეებს გაკვეთილის თემასთან დაკავშირებული სხვა რეპროდუქციები.

დ. საწყის ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები. ამ ეტაპისთვის გამიზნული სავარჯიშოები შედარებით მარტივი უნდა იყოს, რომ მოსწავლეს არ გაუძნელდეს მათი შესრულება და არ შეუსუსტდეს მოტივაცია მომდევნო დავალების შესრულებისთვის.

ე. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები. რადგან წინა ეტაპზე სავარჯიშოს შესრულებისას მოსწავლემ უკვე გადალახა შედარებით იოლი ბარიერი, შემდეგი სავარჯიშო შეიძლება უფრო რთული იყოს.

ვ. დამოუკიდებელი სამუშაო. დამოუკიდებელი სამუშაო გაკვეთილის შემდეგი ეტაპია და შეიცავს პრაქტიკულ სამუშაოს, რომელიც მის თემატიკასთანაა დაკავშირებული. (მაგ. ხატვა ფერადი ფანქრებით, გუაშის ან აკვარელის საღებავებით, პასტელით, აპლიკაცია, ძერწვა, არქიტექტურული მოდელის კონსტრუირება, ქაღალდის პლასტიკა.)

გაკვეთილის დაგეგმვა კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიის მიხედვით

თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმა გაკვეთილის დაგეგმვის ბევრ ფორმას იცნობს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია დაგეგმვის ტიპი, რომელიც კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიების საფუძველზეა შემუშავებული. იგი ხელს უწყობს მასწავლებელს, განსაკუთრებით ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბოს როგორც გაკვეთილის კონკრეტული ამოცანები, პირობები და ხერხები, ასევე მისი გლობალური მიზნები და მიმართებები.

დღეს სკოლის მიზანია აღზარდოს თავისუფალი, განვითარებული და შემოქმედებითი პიროვნება, რომელსაც გააჩნია საკუთარი გამოცდილება და ძალუძს ორიენტირება მუდმივად ცვალებად სამყაროში. ამ მიზნის განხორციელებას დიდად უწყობს ხელს ამერიკელი პედაგოგების ჯ. სტილის, კ. მერედიტის, ჩ. ტემპლის და ს. უოლტერის მიერ ჩამოყალიბებული კრიტიკული აზროვნების პედაგოგიური ტექნოლოგია.

ტექნოლოგია „კრიტიკული აზროვნების განვითარება" გამომუშავებულია ჩრდილოეთ აიოვის უნივერსიტეტის და ჰობარტისა და უილიამ სმიტის კოლეჯების კითხვის საერთაშორისო ასოციაციის მიერ. ეს ტექნოლოგია წარმოადგენს სტრატეგიებისა და მეთოდიკური ხერხების სისტემას, რომელიც გამოყენება სხვადასხვა საგნობრივ სფეროებში, ნაშრომთა სხვადასხვა ფორმებსა და სახეობებში. იგი საშუალებას იძლევა, მივიღოთ ისეთი საგანმანათლებლო შედეგები, როგორებიცაა მუდმივად მზარდი და განახლებადი ინფორმაციის ნაკადთან ცოდნის სხვადასხვა სფეროებში მუშაობის უნარი; საკუთარი აზრის მკაფიოდ, ნათლად და კორექტულად გადმოცემის უნარი (წერილობით და ზეპირად); საკუთარი აზრის ჩამოყალიბების უნარი სხვადასხვა გამოცდილებების, იდეების და წარმოდგენების საფუძველზე; პრობლემების გადაჭრის უნარი; ჯგუფში მუშაობის და თანამშრომლობის უნარი; სხვა ადამიანებთან კონსტრუქციული ურთიერთობების აგების უნარი.

კრიტიკული აზროვნების ფორმირება განსაკუთრებით აქტუალობას იძენს ინფორმაციული სივრცის გაფართოების პერიოდში. საგანმანათლებლო სფეროში კრიტიკულ აზროვნებაში იგულისხმება: 1) თვისებათა და უნართა ერთობლიობა, რომელიც მოსწავლისა და მასწავლებლის კვლევითი კულტურის მაღალ დონეს განაპირობებს, 2) „შეფასებითი, რეფლექსური" აზროვნება, რომლისთვისაც ცოდნა წარმოადგენს არა საბოლოო, არამედ საწყის წერტილს, 3) არგუმენტირებული და ლოგიკური აზროვნება, რომელიც საკუთარ გამოცდილებასა და გადამოწმებულ ფაქტებს ეყრდნობა.

„კრიტიკული აზროვნება" განისაზღვრება, როგორც გონიერი რეფლექსური აზროვნება, რომელიც მიმართულია იმის გადაწყვეტაზე, თუ რა ვირწმუნოთ და რა ვაკეთოთ. კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგია ეხმარება მასწავლებელს, განავითაროს მოსწავლეებში ინფორმაციის აქტიური აღქმის, პრობლემის სხვადასხვა მხრიდან განხილვის, თავიანთი აზრების მიმართულების თვალყურის დევნისა და ლოგიკური დასკვნების გამოტანის, ურთიერთობის სხვადასხვა სიტუაციებში მიღებული ცოდნის გამოყენების უნარები.

კრიტიკული აზროვნება გულისხმობს ინფორმაციის არა უბრალო, არამედ გაცნობიერებულ ათვისებას. ანუ მოსწავლე კრიტიკულად უნდა მიუდგეს ინფორმაციას: გააანალიზოს იგი, შეადაროს, შეაფასოს, აირჩიოს და პასუხისმგებლობა იკისროს თავის არჩევანზე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიის კონცეფცია გამორიცხავს მოსწავლეთა პასიურობას. ისინი აქტიურად არიან ჩართულები სწავლების პროცესში, ხოლო მასწავლებელი ასრულებს კოორდინატორის როლს, რომელიც ეხმარება მოსწავლეს, აძლევს მიმართულებას, მაგრამ პირდაპირ არ აწვდის მზა ცოდნას.

კრიტიკული აზროვნების ტექნოლოგიის მიხედვით შედგენილი გაკვეთილი იგება საგანგებო სცენარის მიხედვით. მისი საბაზისო მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება:

- გამოწვევის ფაზა;
- შინაარსის რეალიზების ფაზა;
- ფიქრის და რეფლექსიის ფაზა.

გამოწვევის ფაზა

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით, თუ რას წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების გამოწვევის ფაზა, რა თავისებურებები გააჩნია მას და რა მეთოდები გამოიყენება ამ სტადიაზე.

გამოწვევის ფაზა განკუთვნილია იმისთვის, რომ გამოიწვიოს:

- მოსწავლეთა მეხსიერებაში ის ინფორმაცია, რომელიც ამ გაკვეთილზე გამოადგებათ,
- ინტერესი ახალი თემისადმი,
- მოსწავლეთა აქტიურობა.

გამოწვევა გადამწყვეტია იმ თვალსაზრისით, რომ იგი გაკვეთილის ტემპსა და ტონს განაპირობებს. სწორედ ამ ეტაპზე ხორციელდება არამარტო გავლილი მასალის გამეორება (ჩვეული ტერმინებით თუ ვისაუბრებთ), არამარტო ცოდნის ანალიზი, არამედ ყველაზე მთავარი – იქმნება დადებითი მოტივაცია, ხდება ინტერესის ფორმირება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: გამოწვევის ფაზა მიმართულია ყველა მონაწილეთა აქტიურ ჩართვაზე, თუკი ადრე პასიური მოსწავლეები განზე რჩებოდნენ, უთმობდნენ რა ასპარეზს უფრო აქტიურებს, ახლა ეს გამორიცხულია. კლასის ყველა მოსწავლე იღებს მონაწილეობას მუშაობაში. მასწავლებლის მიზანია დაეხმაროს მოცემულ თემაში დაგროვილი ცოდნის სისტემურ

ჩამოყალიბებაში, გამოავლინოს შეუთანხმებლობები, გაურკვევლობები, ხარვეზები და გამოავლინოს ის ამოცანები, რომლებიც გადაწყვეტას საჭიროებენ. ამგვარად, გაკვეთილზე გამოწვევის ფაზა რამდენიმე ამოცანის გადაჭრას ემსახურება:

• დადებითი მოტივაციის ფორმირებას,

• მოსწავლეებში ახალი თემის მიმართ ინტერესის გამოწვევას,

• გაკვეთილის მთავარი მიზნის ჩამოყალიბებას,

• იმ ამოცანების მონახაზის შექმნას, რომლებიც გაკვეთილზე განიხილება,

• მოსწავლეთა გააქტიურებას, მუშაობაში მათ ჩართვას.

შინაარსის რეალიზების ფაზა

ამ სტადიაზე ხდება მოსწავლეთა მიერ ახალი ინფორმაციის მიღება და მისი დამუშავება.. გაკვეთილის ამ სტადიის ფუნქციებია:

• საინფორმაციო. მოსწავლეები იძენენ ახალ ინფორმაციას, მუშაობენ მასთან, აანალიზებენ და გაიაზრებენ მას, აფასებენ და ადარებენ იმ ცოდნას, რაც უკვე გააჩნიათ.

• სისტემატიზაციური. გააზრების ფაზის ყველა მეთოდი მიმართულია იმაზე, რომ მოსწავლეებმა არამარტო აითვისონ ახალი ინფორმაცია, არამედ მისი სისტემატიზაციაც შეძლონ, ასე ვთქვათ, განალაგონ იგი თავიანთი მეხსიერების „თაროებზე“.

რაში მდგომარეობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა საქმიანობა შინაარსის რეალიზების სტადიაზე? კრიტიკული აზროვნების განვითარების გაკვეთილზე მასწავლებელს კოორდინატორის როლი ეკისრება. ასევე მისი მიზანი მდგომარეობს მოცემული თემისადმი მოსწავლეთა ინტერესის შენარჩუნებაში. ამასთან მნიშვნელვანია, ბავშვების საქმიანობა ისეთი მიმართულებით წავიყვანოთ, რომ ახალი და ძველი ცოდნის კავშირი ხაზგასმით გამოვავლინოთ. მოსწავლეები გაკვეთილის ამ ეტაპზე უნდა იყვნენ მაქსიმალურად აქტიურები. ისინი კითხულობენ, ისმენენ, იწერენ, დავალებებს ასრულებენ, ინიშნავენ და ა.შ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია საქმიანობის სახეობების მორიგეობა, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის კომბინირება.

როგორც ვხედავთ, გააზრების ეტაპი გაკვეთილის იმ სტადიას მოიცავს, როდესაც მოსწავლეები ახალ ინფორმაციას ითვისებენ. ინფორმაცია შეიძლება სხვადასხვა სახისა იყოს:

• სახელმძღვანელოს პარაგრაფის ტექსტი;

• მასწავლებლის მიერ მომზადებული ტექსტი;

• ფილმი;

• პრეზენტაცია;

• თანაკლასელის მოხსენება;

• ლექცია;

• სტატია, ლექცია ინტერნეტში;

• აუდიომასალა და ა.შ.

მუშაობა ამ ფაზაზე მიმდინარეობს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. ამასთან მნშვნელოვანია, რომ ჯერ ინდივიდუალური გამოკვლევა და მსჯელობა ჩატარდეს და შემგომ ჯგუფური მუშაობა.

რეფლექსიის ფაზა

რა არის რეფლექსია? ლექსიკონში მკაფიოდ არის განმარტებული: რეფლექსია არის თვითანალიზი, თვითშეფასება, „ჩახედვა საკუთარ თავში“. გაკვეთილებთან მიმართებაში, რეფლექსია არის გაკვეთილის ეტაპი, რომლის დროსაც მოსწავლეები თავად აფასებენ თავიანთ მდგომარეობას, ემოციებს და თავისი მუშაობის შედეგებს.

რისთვის არის საჭირო რეფლექსია?

სწავლის პროცესი გაცილებით ადვილი ხდება როგორც მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებლისთვისაც, თუკი ბავშვი ხვდება:

• რისთვის სწავლობს იგი მოცემულ თემას, როგორ გამოადგება მას იგი მომავალში’

• რა მიზანს უნდა მიაღწიოს ამ გაკვეთილზე’

• საერთო საქმეში რა წვლილის შეტანა შეუძლია მას’

• შეუძლია თუ არა მას ადეკვატურად შეაფასოს თავისი და სხვების შრომა.

რეფლექსიის ჩატარება შეიძლება როგორც გაკვეთილის ბოლოს, ასევე გაკვეთილის ნებისმიერ სტადიაზე და ასევე შესწავლილი თემის, მასალის შეჯამების სტადიაზე.

კომენტარები მასწავლებლის წიგნზე

მასწავლებლის V კლასის წიგნში მოცემულია სანიმუშო გაკვეთილების სცენარები, რომლებიც ზემოთ უკვე აღნიშნული კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიის მიხედვითაა დაგეგმილი. ეს ხერხი დაეხმარება მასწავლებელს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და შედეგების მიღწევაში. მოცემული აქტივობები წარმოადგენს იმის ნიმუშს, თუ რა პრაქტიკული ქმედებითაა შესაძლებელი ამა თუ იმ შედეგის მიღწევა. აქვე მითითებულია სხვა შედეგებიც, რომლებსაც შეიძლება დაუკავშირდეს ყოველი კონკრეტული აქტივობა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ზოგიერთი საკითხი, რომელიც ამ აქტივობების პრაქტიკულ გამოყენებასთან არის დაკავშირებული:

- მიუხედავად იმისა, რომ წიგნში საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი არა მარტო შემოთავაზებული აქტივობები, არამედ საუბრები და დიალოგებიც, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სავალდებულო არ არის მოცემული აქტივობების ზუსტად შესრულება - საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია გარკვეული სახეცვლილების შეტანა, მაგ. თემის, მასალის ან ტექნიკის შეცვლა, აქტივობის გამარტივება ან გართულება, ან სხვა მსგავსი აქტივობით შეცვლა, თუ ეს ხელს არ შეუშლის შედეგის მიღწევას.

- მასწავლებელს შეუძლია, მოცემული აქტივობების როგორც გაერთიანება, ასევე ორ ან მეტ გაკვეთილზე განაწილება; ასევე, აქტივობის სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე (მცირედი სახეცვლილებით) გამეორება.

- სავალდებულო არ არის აქტივობების ჩატარება მოცემული თანმიმდევრობის მიხედვით. ვინაიდან ცხრილში მოცემულია წლის ბოლოს მისაღები შედეგების მისაღწევად რეკომენდებული აქტივობები, მასწავლებელმა მათი თანმიმდევრობა, მონაცვლეობა თუ გამეორება უნდა შეარჩიოს ისე, როგორც თავად მიიჩნევს მიზანშეწონილად.

- მოცემული აქტივობების სირთულის დონე ისე არის შერჩეული, რომ მათი შესრულება არ უნდა წარმოადგენდეს დაუძლეველ ამოცანას ნებისმიერი მონაცემების მქონე მოსწავლისათვის. თუ ზოგიერთი მოსწავლე სხვებზე იოლად ითვისებს მასალას და უფრო სწრაფად ასრულებს დავალებებს, მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მას იმავე დავალების ოდნავ გართულებული ვარიანტი და პირიქით, თუ მოსწავლე ნელა ითვისებს მასალას, უჭირს დავალების შესრულება, მასწავლებელმა მას უნდა გაუმარტივოს დავალება.

- მასწავლებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ მოსწავლეებმა მათი სახელმძღვანელოს შემაჯამებელ გაკვეთილებში მოცემული აქტივობები არ შეასრულონ უშუალოდ წიგნში.

წინასწარი პრაქტიკული რჩევები

საკლასო ოთახი

საკლასო ოთახი უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ჯანმრთელობისთვის საჭირო ზოგად პარამეტრებსა და იმ სპეციფიკურ მოთხოვნებსაც, რომლებიც სახვითი ხელოვნების პრაქტიკული და თეორიული შემადგენელი ნაწილების სწავლების პროცესის სრულყოფილი ჩატარებისთვისაა საჭირო. ეს ნიშნავს, რომ ოთახში ჩვეულებრივი ავეჯისა და მოწყობილობების გარდა, უნდა იყოს:

- სტენდები ნამუშევრების გამოსაფენად, სპეციალური კარადა სახატავი და სხვ. მასალების, იარაღების და ნამუშევრების, ასევე სხვა აუცილებელი სასწავლო მასალების – რეპროდუქციების, სლაიდების, კომპიუტერული დისკების შესანახად.
- სასურველია, რომ ოთახში იყოს ონკანი.
- საჭიროა აგრეთვე კომპიუტერი და პროექტორი ცნობილი მხატვრების ნამუშევრების და სხვა სასწავლო მასალების და პრეზენტაციების საჩვენებლად.
- დიდი მნიშვნელობა აქვს განათების ხარისხს – ნათელი გარემო აუცილებელია როგორც პრაქტიკული მუშაობის, ასევე რეპროდუქციების და ილუსტრაციების დათვალიერების დროს. ამავე დროს, ფანჯრებზე უნდა იყოს მუქი ფარდები, რათა პროექტორის მუშაობის დროს იყოს საშუალება ოთახის დაბნელებისა.

მასალები და იარაღები:

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს არ აქვთ დაგეგმილი აქტივობის ჩატარებისთვისთვის აუცილებელი მასალა, მასწავლებელს შეიძლება შეექმნას პრობლემა (მაგ. მასწავლებელს დაგეგმილი აქვს ასწავლოს მოსწავლეებს ფერების შეზავება, მათ ნაწილს კი მხოლოდ ფლომასტერები აქვს მოტანილი). ეს აიძულებს მასწავლებელს, არასრულყოფილად ჩაატაროს დაგეგმილი სამუშაო. ამიტომ სასურველია, მასწავლებელმა უზრუნველყოს კლასში მასალის ერთგვაროვნება: ან სკოლამ მოიმარაგოს მასალა, ან მშობლებმა შეიძინონ მასწავლებლის მიერ რეკომენდებული მასალა, რომელიც ჩაბარდება მასწავლებელს და მოსწავლეებს არ მოუწევთ მისი თან ტარება, შესაბამისად, მასწავლებელს ყოველთვის ხელთ ექნება დაგეგმილი აქტივობისთვის საჭირო მასალა.

მასწავლებელს შეუძლია, შეიტანოს საკუთარი კორექტივები ნებისმიერი აქტივობის მასალაში. აქტივობების უმეტესობის მასალის ჩამონათვალში იგულისხმება გარკვეული ალტერნატივები: პლასტილინი შეიძლება შეიცვალოს მარილიანი ცომით, ფერადი ქაღალდების ნაცვლად შეიძლება ფერადი ჟურნალებიდან ამოჭრილი გვერდების გამოყენება, მოსწავლეებმა, მძივების, ბისერის ნაცვლად

შეიძლება იხმარონ გაფერადებული წვრილი კენჭები, პატარა ღილები, ბრინჯი, წვრილად დაჭრილი ნაძვისხის წვიმა... მასწავლებელმა უნდა ჩააგონოს მოსწავლეებს, რომ მათ თავად უნდა მოიფიქრონ, მოიძიონ, გამოცადონ და გამოიყენონ სხვადასხვა მასალა.

აუცილებელი მასალის ჩამონათვალი:

- **წინსაფრები** – გარდა იმისა, რომ იცავს ტანსაცმელს საღებავის ლაქებისგან, წინსაფარი განაწყობს მოსწავლეებს მუშაობისთვის.
- **ცელოფანი** – მერხების დასაცავად საღებავის, პლასტილინის, წებოს ლაქებისგან.
- **ერთჯერადი სველი ხელსახოცები**
- თუ კლასში არ არის **ონკანი**, მასწავლებელს მოუწევს **სუფთა წყლის** მომარაგება (რათა მოსწავლეებმა ხშირად გამოცვალონ ფუნჯის ნარეცხი წყალი, რომელიც მალე შავდება, აფუჭებს ნამუშევარს და მოსწავლეებმა გაკვეთილის დროს არ ირბინონ სკოლის დერეფანში წყლის გამოსაცვლელად); ასევე, მასწავლებელს დასჭირდება რაიმე მოზრდილი ჭურჭელი ჭუჭყიანი წყლის გადასაღვრელად.
- **A4 ფურცლების 500 ცალიანი შეკვრა** - (30 მოსწავლეზე) კვირაში 2 გაკვეთილზე თუ დახატავენ 4 ნახატს – ყოფნის 1 თვე. (სახატავ რვეულებში საღებავებით ხატვა მოუხერხებელია, რადგან საღებავი სწრაფად არ შრება და მოსწავლე ვერ შეძლებს ახალი ნამუშევრის სუფთა გვერდზე დახატვას ისე, რომ არ გააფუჭოს უკვე შესრულებული ნამუშევარი).
- **ფერადი ფურცლები** - თითო მოსწავლეზე 1 შეკვრა სემესტრში (მოსწავლეებს ურიგდება იმ ზომის და რაოდენობის ფურცლები, რაც საჭიროა კონკრეტული აქტივობისთვის. ყოველი აქტივობის შემდეგ მორჩენილი ფურცლების გამოსაყენებლად ვარგისი ზომის ნარჩენები ინახება მომდევნო აქტივობებისთვის).
- **მუყაო** – (ტკბილეულის კოლოფები, შესაფუთი ყუთები და სხვ.)
- **აკვარელის საღებავები**
- **გუაშის საღებავები** – სასურველია, ყოველი აქტივობისთვის განაწილდეს პლასტმასის პალიტრებზე (1 კოლოფი ეყოფა 20 მოსწავლეს). თუ მოსწავლეები პირდაპირ ქილებიდან იხმარენ საღებავს, ქილებში ფერები სხვა ფერის საღებავით დაისვრება და სახმარად უვარგისი გახდება).

- **პლასტმასის პალიტრა** - ყოველ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური პალიტრა.
- **ღრუბელი**
- **ფუნჯები** – აკვარელის - სქელი, საშუალო და წვრილი; უხეში - წებოსთვის
- **შავი ფანქარი*** - რბილი - 2
- **ფლომასტერები*** –2 მოსწავლეზე 1 შეკვრა (იდება ჭიქებში - 2 მოსწავლეზე 1 ჭიქა).
- **სახაზავი***
- **მაკრატელი**
- **პლასტილინი** – ყოველ მოსწავლეზე 2 კოლოფი სემესტრში
- **წებო** – ქაღალდის მშრალი წებო და თხევადი - პოლივინილაცეტატის ემულსია **(პვა)**
- **წყლის ჭურჭელი ფუნჯების გასარეცხად** - 1/2 ლიტრიანი შუშის ან პლასტმასის ქილები (ყოველ მოსწავლეს ინდივიდუალურად)
- **საქაღალდე** – ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საკუთარი პორტფოლიო ნამუშევრების შესანახად.
- საშლელი, სათლელი, სახაზავი, ფლომასტერები, შავი და ფერადი ფანქრები, მშრალი წებო, ასევე სპეციალურად, კონკრეტული აქტივობისთვის საჭირო მასალები (მაგ. მარცვლეული, პატარა კოლოფები, ნაჭრები, ძაფები, ღილები, მძივები, ფოთლები, კენჭები...) მოსწავლეებს დააქვთ სახლიდან, დანარჩენი მასალა კი სასურველია, ინახებოდეს კლასში.
- მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს, შეაგროვონ მსგავსი მასალა და შეინახონ სკოლაში (საერთო ხმარებისთვის), საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებლად.

სხვა მასალა:

აკრილის საღებავები – გამოიყენება სხვადასხვა ნაკეთობის შესაღებად, რადგან აკრილის საღებავი სწრაფად შრება და გუაშისა და აკვარელისგან განსხვავებით, გამშრალი წყალში აღარ იხსნება. (აკრილის საღებავი შეიძლება შეიცვალოს თხევად წებოში გახსნილი გუაშით).

სამუშაო ადგილის დალაგება:

მოსწავლემ უნდა ისწავლოს საღებავების ხმარება და მათი მოვლა: საღებავები შეაზავოს პლასტმასის პალიტრაზე, ან დამხმარე ფურცელზე და არა საღებავის ქილებში; ფერიდან ფერზე გადასვლისას არ ჩააწოს გაურეცხავი ფუნჯი საღებავში

- ფუნჯი გარეცხოს წყლიან ქილაში; სამუშაოს დამთავრების მერე არ დატოვოს საღებავი თავდაუხურავი, პალიტრა და ფუნჯი კი გაურეცხავი და არ ჩაალაგოს ფუნჯები ქილაში თავდაყირა.

გაკვეთილის დამთავრებისას მოსწავლეები აგროვებენ და ინახავენ მორჩენილ, გამოსადეგ მასალას (სუფთა საღებავებს, ფერადი ქაღალდის ნარჩენებს და სხვა), რეცხავენ ფუნჯებს, ასუფთავებენ სამუშაო ადგილს (მაგიდა, იატაკი), ინახავენ ნამუშევრებს საქაღალდეებში.

მოსწავლეებს მუშაობისას ყოველთვის უნდა ჰქონდეთ მაგიდის საწმენდი ტილო, რათა საჭიროების შემთხვევაში გაამშრალონ და გაასუფთავონ სამუშაო ადგილი, გაიწმინდონ ხელები.

ყველა ნამუშევარს უკნიდან უნდა ეწეროს სახელი, გვარი და თარიღი, მოსწავლეებმა საკუთარი სახელი და თარიღი უნდა დააწერონ მუშაობის დაწყებამდე, რადგან მერე, სველ ნამუშევრებზე ამის გაკეთება ძნელია (ეს აქტი გარკვეულ პასუხისმგებლობას იწვევს იმ ფურცლის მიმართ, რომელზეც ნამუშევარი უნდა შესრულდეს - მოსწავლეები ტყუილად აღარ დაჯღაბნიან ფურცელს).

გაკვეთილის ბოლოს, საქაღალდეებში ნამუშევრების შენახვისას რომ არ წარმოიქმნას ქაოსი, ეს საქმე უნდა დაევალოს 2-3 (ყოველ ჯერზე სხვადასხვა) ბავშვს, რომლებიც დაახარისხებენ და ჩაალაგებენ ნამუშევრებს. ამით მიეჩვევიან ერთმანეთის ნამუშევრების გაფრთხილებას. ხშირად, ნამუშევრები ვერ ასწრებს გაკვეთილის დამთავრებისთვის გაშრობას. სველი ნამუშევრების ერთმანეთზე დალაგება ან საქაღალდეებში შენახვა არ შეიძლება. მასწავლებელმა, ნამუშევრები გასაშრობად უნდა დაალაგოს უსაფრთხო ადგილას (ფანჯრის რაფა, თარო) და პასუხისმგებელ მოსწავლეებს დაავალოს მათი მომდევნო შესვენებაზე შენახვა.

პორტფოლიო

სასურველია, მოსწავლეების ნახატები ინახებოდეს კლასში, შესაფერისი ზომის საქაღალდეებში, რომლებიც მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ხელით დაამზადონ. როდესაც ნამუშევრები ერთადაა მოგროვილი და დათარიღებული, მასწავლებლისთვის თვალსაჩინო ხდება ყოველი მოსწავლის პროგრესი, მიღწევები. ყოველ მოსწავლეს აქვს საკუთარი პორტფოლიო, საქაღალდეებს აწერიათ მოსწავლის სახელი, გვარი და სასწავლო წლის, ან კლასის აღმნიშვნელი ციფრი. შემაჯამებელი გამოფენის მერე მოსწავლეებს შეუძლიათ წაიღონ ნამუშევრები სახლში (იმ ნამუშევრების გარდა, რომლებიც მასწავლებელს ესაჭიროება შეფასების ან სხვა მიზნებისათვის). როდესაც მოსწავლეები ხედავენ, რომ მათი

ნამუშევრები მოწესრიგებულად ინახება, შრომას პატივს სცემენ, ისინი მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან გაკვეთილებს.

სავარჯიშო რვეულები

ეს არის რვეული (სასურველია უჯრებიანი ფურცლებით), რომელშიც მოსწავლე გაკვეთილის მსვლელობის დროს, სამახსოვროდ იწერს ახალ ტერმინებს, სახელებს, ინიშნავს ტექნოლოგიურ ნიუანსებს, საშინაო დავალებებს, მომდევნო გაკვეთილისთვის მოსატან მასალას... აკეთებს სავარჯიშოებს, პატარა ესკიზებს; ექსკურსიებზე მოსწავლეები ამ რვეულში ინიშნავენ შთაბეჭდილებებს, აკეთებენ ჩანახატებს; ინიშნავენ გაჩენილ შეკითხვებს, წერენ საკუთარ მოსაზრებებს, რეფერატებს მოცემულ თემაზე... ჩაინიშნავენ სადისკუსიო თემებს, მათთან დაკავშირებულ შეკითხვებს და შენიშვნებს. სავარჯიშო რვეულების წარმოება დაეხმარება მოსწავლეებს დაიმახსოვრონ და შეაფასონ ნანახი თუ შესწავლილი, ისწავლონ წერა სხვადასხვა მიზნისთვის, შეძლონ აზრების და იდეების გამართულად გამოხატვა წერილობითი ფორმით, მიაჩვევს მათ ორგანიზებულობას. როდესაც მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს რაიმე თემაზე სავარჯიშო რვეულებში საკუთარი მოსაზრების ჩაწერას და შემდეგ ჩანაწერის კლასის წინაშე წაკითხვას, ამით იგი აჩვევს მოსწავლეებს საკუთარი აზრის საჯაროდ, თამამად და გამართულად გამოთქმას. მასწავლებელი არ კითხულობს სავარჯიშო რვეულებს და არ ასწორებს ჩანაწერებს.

დროის ორგანიზება:

იმისთვის, რომ გაკვეთილის დრო მთლიანად დაეთმოს მუშაობას, სასურველია, რომ გაკვეთილის დაწყებისთვის მასალა გამზადებული იყოს. მასალის დარიგების პროცედურას მიაქვს 10-15 წუთი. მზადება იწყება გაკვეთილის წინ, შესვენებაზე. მასწავლებელი ანაწილებს მასალას (ანაწილებს საღებავებს პალიტრებზე, ანაწილებს სახატავ ან ფერად ფურცლებს საჭირო ზომის და რაოდენობის მიხედვით და ა.შ.), მოსწავლეებს მოაქვთ წყალი, ალაგებენ მაგიდებზე მასალას.

სანიმუშო გაკვეთილების სცენარები

თავი I

1. ხელოვნების სათავეები და მითოლოგია

ინტეგრირება: ისტორია, ლიტერატურა

მიზანი: გავაცნოთ მოსწავლეს ხელოვნების შექმნასთან დაკავშირებული მითები და ლეგენდები და მათთან დაკავშირებული სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები, ხელი შევუწყოთ მოსწავლის მსჯელობის უნარის, წარმოსახვისა და ფანტაზიის განვითარებას.

აქტივობები:

1. საუბარი ხელოვნების წარმოშობასთან დაკავშირებული მითების შესახებ;
2. ბერძნული კერამიკის ნიმუშების აღწერა;
3. სილუეტური პორტრეტების შესრულება აღწერილი მეთოდის შესაბამისად.

მოსწავლეთა ორგანიზება

ინდივიდუალური, ჯგუფური

დროის განაწილება

1. შესავალი საუბარი – 10 წთ.
2. პირველი აქტივობა – 5-8 წთ.
3. მეორე აქტივობა – 5-8 წთ.
4. მესამე აქტივობა – 20 წთ.

რესურსები:

ილუსტრაციები მოსწავლის წიგნიდან (ან სხვა შესაფერისი ილუსტრაციები), კომპიუტერული გამოსახულებები, ლეპტოპი (ბუკი) ან პროექტორი, სახატავი ქაღალდი, ფანქრები, საშლელი.

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეები ეცნობიან ბერძნულ მითებს ხელოვნების წარმოშობაზე და მსჯელობენ მათ შესახებ, საუბრობენ ბერძნული კერამიკის ნიმუშებზე და ასრულებენ სილუეტურ პორტრეტებს.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(II).1, ს.გ.დაწყ.(II).2, ს.გ.დაწყ.(II).3, ს.გ.დაწყ.(II).4, ს.გ.დაწყ.(II).5.

შეფასება

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

1. მსჯელობს ბერძნული მითების შესახებ;
2. აღწერს ბერძნული კერამიკის ნიშან-თვისებებს (ზოგადად);
3. ქმნის კლასელებთან ერთად სილუეტურ პორტრეტებს.

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი უყვება მოსწავლეებს მითებს ხელოვნების წარმოშობის შესახებ (მითები დებუტადეზე, დედალოსზე, პიგმალიონზე) და უჩვენებს მათ შესაფერის ვიზუალურ მასალას (რეპროდუქციებს ან კომპიუტერულ გამოსახულებებს).

აქტივობა I:

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ მითების შესახებ, აღნიშნავენ, ვის რომელი მითი უფრო მოეწონა და რატომ, გამოთქვამენ ვარაუდებს იმის შესახებ, არის თუ არა მითებში აღწერილ ამბებში სიმართლის ნაწილი თუ არა, გამოთქვამენ საკუთარ ან წაკითხულ თუ მოსმენილ იდეებს ხელოვნების სხვადასხვა დარგების წარმოშობის შესახებ.

აქტივობა II:

მოსწავლეები ათვალიერებენ ბერძნული კერამიკის ნიმუშებს და აღწერენ მათ, აღნიშნავენ, თუ რა ნაწილებისაგან შედგება ესა თუ ის ჭურჭელი, რამდენი სახელური აქვს და სადაა ეს სახელურები დამაგრებული, როგორია ნივთის სიმაღლე, სიგანე, სილუეტი, არის თუ არა მოხატულობა, რა არის გამოსახული, როგორი ფერებითაა შესრულებული ფიგურები და ფონი და ა.შ.

აქტივობა III:

მოსწავლეები იყოფიან პატარა ჯგუფებად. ჯგუფის ერთი წევრი დგება ისე, რომ მისი ჩრდილი კედელზე დამაგრებულ ქაღალდზე დაეცეს, მეორე კი შემოავლებს ამ ჩრდილს კონტურს. შემდეგ როლები შეიცვლება. მოსწავლის სურვილის მიხედვით, მას შეუძლია ნახატი კონტურის სახით დატოვოს ან შეაფერადოს იგი (შავად ან წითლად, ბერძნული კერამიკის სტილების შესაბამისად), და სილუეტური ფერადი გამოსახულება შექმნას.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები გამოფენენ ნამუშევრებს კლასში და საუბრობენ მათ შესახებ.

2. კერამიკის ისტორიიდან

ინტეგრირება:

ისტორია

მიზანი: გავაცნოთ მოსწავლეს დეკორატიულ-გამოყენებითი დარგის მნიშვნელოვანი დარგი – კერამიკა და ძველბერძნული კერამიკის ტიპები ვეჯვუდის კერამიკასთან მისი შედარების საფუძველზე. მოსწავლე ასრულებს თემასთან დაკავშირებულ დამოუკიდებელ სამუშაოს, რაც ხელს უწყობს ანალიზის უნარის, დაკვირვებულობის და პრაქტიული უნარ-ჩვევების განვითარებას.

აქტივობები:

1. მსჯელობა ვეჯვუდის მიერ ფერწერული ტილოს „კორინთოელი ქალიშვილის" სიუჟეტის არჩევასთან დაკავშირებით;
2. ვეჯვუდის კერამიკისა და ბერძნული კერამიკის ნიმუშების შედარება;
3. ბერძნული ლარნაკებით შთაგონებული ნახატების შესრულება.

მოსწავლეთა ორგანიზება

ინდივიდუალური

დროის განაწილება

1. შესავალი საუბარი – 5 წთ.
2. პირველი აქტივობა – 5-8 წთ.
3. მეორე აქტივობა – 5-8 წთ.
4. მესამე აქტივობა – 22-25 წთ.

რესურსები:

ილუსტრაციები მოსწავლის წიგნიდან (ან სხვა შესაფერისი ილუსტრაციები), კომპიუტერული გამოსახულებები, ლეპტოპი (ბუკი) ან პროექტორი, სახატავი ქაღალდი, ფანქრები, საშლელი, სასურველი მასალა ნახატის შესაფერადებლად (გუაშის საღებავები, ფერადი ფანქრები, პასტელები და ა.შ.).

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეები საუბრობენ ვეჯვუდის იდეის შესახებ, ადარებენ ბერძნული და ვეჯვუდის კერამიკის ფორმებს, ფერებს და მოხატულობას და ასრულებენ ბერძნული ლარნაკებით შთაგონებულ ნახატებს.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(II).1, ს.გ.დაწყ.(II).2, ს.გ.დაწყ.(II).4, ს.გ.დაწყ.(II).5.

შეფასება

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

1. მსჯელობს ვეჯვუდის კერამიკისა და ვეჯვუდის ლარნაკების მსგავსება-განსხვავებებზე;
2. ასრულებს ბერძნული ლარნაკებით შთაგონებულ ნახატს.

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი უყვება მოსწავლეებს ბერძნული კერამიკის მნიშვნელობაზე და აღნიშნავს მის პოპულარობას არა მარტო ანტიკურ სამყაროში, არამედ გვიანდელ პერიოდებშიც და უჩვენებს მათ შესაფერის ვიზუალურ მასალას (რეპროდუქციებს ან კომპიუტერულ გამოსახულებებს).

აქტივობა I:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რატომ აირჩია ჯოზაია ვეჯვუდმა მითი დებუტადეს შესახებ, როდესაც ჯოზეფ რაიტს სურათი შეუკვეთა (სავარაუდო პასუხი: ვეჯვუდს, როგორც მნიშვნელოვანი კერამიკული საამქროს დამაარსებელს და ცნობილ ოსტატს, ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნდა მითი ამ დარგის წყაროების შესახებ).

აქტივობა II:

მოსწავლეები ადარებენ ერთმანეთს ბერძნული კერამიკის ნიმუშებს და ვეჯვუდის კერამიკას. აღნიშნავენ, რომ ვეჯვუდი ძირითადად იყენებს ბერძენი ოსტატების მიერ შექმნილ კერამიკულ ტიპებს: განიერმუცლიან, ვიწროყელიან ლარნაკებს ორი სახელურით, მაგრამ ზოგჯერ იყენებს თანამედროვე ფორმებსაც (მაგ. ჩაიდანს). მოხატულობის პერსონაჟები გარეგნობით და ჩაცმულობით მეტად მსგავსია, მაგრამ ფერადოვანი გადაწყვეტა საკმაოდ განსხვავებულია: ბერძენი ოსტატები უმეტესად გამოსახავენ შავ ფიგურებს თბილ, მოწითალო ფონზე ან პირიქით, მოწითალო ფიგურებს შავ ფონზე, ხოლო ვეჯვუდის კერამიკაში ჭარბობს ცივი ცისფერი, მწვანე და იასამნისფერი ფერები, ფიგურები კი უმეტესწილად თეთრია, როგორც მარმარილოს ქანდაკება.

აქტივობა III:

მოსწავლეები ასრულებენ „ბერძნული ლარნაკების" ამსახველ ნახატებს. ისინი ათვალიერებენ ბერძნული კერამიკული ტიპების ფორმებს და ორნამენტებს, შემდეგ

კი შავი ფანქრით ასრულებენ ჭურჭლის მონახაზს. როდესაც ესკიზი მზადაა, მას აფერადებენ ნებისმიერი სასურველი მასალით (ფერადი ფანქრები, პასტელები, გუაში და სხვ.).
გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები გამოფენენ ნამუშევრებს კლასში და საუბრობენ მათ შესახებ, მსჯელობენ იმაზე, რა გამოუვიდათ კარგად და რისი შეცვლა აჯობებდა. კლასში აუცილებლად უნდა იყოს კეთილგანწყობილი და საქმიანი ატმოსფერო, რასაც მასწავლებელი გულდასმით ადევნებს თვალყურს.

3. ნახატის ხელოვნება

ინტეგრირება: ისტორია, ლიტერატურა.

<u>**მიზანი:**</u> გავაცნოთ მოსწავლეს შავი და ფერადი ფანქრებით მუშაობის ზოგიერთი ძირითადი ხერხი (კონტურით ხატვა, დაშტრიხვა, შეზავება და ა.შ.) და განვამტკიცოთ მათი ფლობა სავარჯიშოების და დამოუკიდებელი პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე, განვავითაროთ მოსწავლის შემოქმედებითი უნარი, ფანტაზია და მოტორიკა.

აქტივობები:

1. კონტურით ხატვა (ინდ).
2. ვარჯიში დაშრიხვის სხვადასხვა ხერხების შესრულებაში და შავ-თეთრი და ფერადი ტონალური გრადაციების ხატვა (ინდ).
3. დამოუკიდებელი სამუშაო თემაზე „ჩემი მეგობრის პორტრეტი" (ინდ).

მოსწავლეთა ორგანიზება

ინდივიდუალური

დროის განაწილება

5. შესავალი საუბარი – 2-3 წთ.

6. პირველი აქტივობა – 5-8 წთ.
7. მეორე აქტივობა – 8-10 წთ.
8. მესამე აქტივობა – 25 წთ.

რესურსები: ილუსტრაციები მოსწავლის წიგნიდან (ან სხვა შესაფერისი ილუსტრაციები), სახატავი ფურცლები ან ალბომი, უბრალო (გრაფიტის) და ფერადი ფანქრები, საშლელი.

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეები იცნობენ თეატრის არქიტექტურის განვითარების გზას, შეუძლიათ მასზე მსჯელობა და შენობის ესკიზის შესრულება.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.VIII.1 – მოსწავლე შემოქმედებითად იყენებს სახვითი ხელოვნების ელემენ-ტებისა და პრინციპების ცოდნას კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად ნამუშევრის შექმნისას. (ინდ.1,2)

ს.გ.VIII.7 – მოსწავლე წარმოადგენს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ნამუშევრებს და მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით გამოთქვამს და ასაბუთებს საკუთარ აზრს ხელოვნების ნაწარმოების შესახებ (ინდ.1,2,3)

ს.გ.VIII.4. – გამოხატავს საკუთარ გრძნობებს, განწყობილებებს და იდეებს ნამუშევარში. (ინდ. 1)

შეფასება

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

1. იცნობს და იყენებს ფანქრით მუშაობის სხვადასხვა ხერხებს (კონტურით ხატვა, დაშტრიხვა, გრადაცია) დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისას (თემა „მეგობრის პორტრეტი“).
2. იცნობს და იყენებს ახალ ტერმინებს (**სინათლის** და **ფერის ტონების** და **გრადაციის** ცნებებს).

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ, თუ რომელ დარგს ეწოდება გრაფიკა (სავარაუდო პასუხი: სახვითი ხელოვნების იმ დარგს, სადაც წამყვანი მნიშვნელობა ნახატს ენიჭება). შემდეგ იგი ეკითხება ბავშვებს, თუ რა მასალები

გამოიყენება გრაფიკაში და რომელს ვიყენებთ, მათი აზრით, ყველაზე ხშირად (სავარაუდო პასუხი: პასტელი, ცარცი, ნახშირი, ტუში, მელანი და სხვ., მაგრამ ყველაზე ხშირად – ფანქარი). მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ თუმცა ფანქრით ხატვა ერთი შეხედვით ძალზე იოლი ჩანს, არსებობს ისეთი ხერხები, რომლებიც გაცილებით უკეთესი შედეგების მიღწევაში გვეხმარება. სწორედ ასეთ ხერხებს ეძღვნება ეს გაკვეთილი.

აქტივობა I:

შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რა არის „კონტურით ხატვა“. იგი სთავაზობს მოსწავლეებს, თავად აირჩიონ რაიმე უბრალო ნივთი (ნათურა, ქუდი, წიგნი, ფეხსაცმელი და სხვ.) და დახატონ მისი საერთო კონტური. როცა კონტური მზადაა, ვამატებთ დეტალებს. ხაზი უნდა გაესვას, რომ არც ჩრდილები და არც შეფერადება საჭირო არ არის – მხოლოდ კონტურები.

აქტივობა II:

შემდეგ მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ გამოსახული საგანი რომ მოცულობრივი გამოჩნდეს, საჭიროა შუქ-ჩრდილით მისი დამუშავება. იგი უხსნის მოსწავლეებს **სინათლის** და **ფერის ტონების** და **გრადაციის** ცნებებს (სინათლის ტონები – სხვადასხვა სიძლიერის მუქი და ბაცი ელფერები, თეთრიდან (მაქსიმალური განათებულობა) შავამდე (სრული სიბნელე), ფერადოვანი ტონები, ანუ ვალიორები – ერთი ფერის სხვადასხვა ელფერები, გრადაცია – თანმიმდევრულად გალაგებული ტონები) და უჩვენებს მათ დაშტრიხვის რამდენიმე ხერხს (იხ. მოსწავლის სახელმძღვანელო). მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოებს დაშტრიხვაზე და გრადაციაზე. (არ არის საჭირო თავიდანვე შესრულების დიდი ოსტატობის მოთხოვნა, მთავარია, მოსწავლეებმა გაიგონ და აითვისონ ძირითადი პრინციპი).

აქტივობა III:

ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შესწავლილი ხერხების გამოყენებით შეასრულონ მეგობრის პორტრეტი. ნუ მოვთხოვთ მაინცა და მაინც მსგავსების გადმოცემას, მთავარია, მოსწავლეები შეეცადონ რაიმე ნიშნით გადმოსცენ მეგობრის ხასიათი და ინტერესები.

სასურველია დასრულებულ ნამუშევართა შენახვა, რათა შემდგომში მოეწყოს ამ თემისადმი მიძღვნილი ნახატების საკლასო გამოფენა.

4. ნახატის ისტორია

ინტეგრირება: ისტორია, ლიტერატურა.

მიზანი: გავაცნოთ მოსწავლეს გრაფიკული მასალებით და განსაკუთრებით ფანქრით ხატვის ისტორია, განვავითაროთ დაკვირვებისა და მსჯელობის უნარი.

აქტივობები:

1. ილუსტრაციების მიხედვით ცნობილ მხატვართა ნამუშევრების მასალისა და ტექნიკის (ვერცხლის ფანქარი, სანგინა, ფერადი ფანქრები) ამოცნობა.
2. ცნობილ მხატვართა ნამუშევრების შედარების საფუძველზე მათ გამომსახველობით საშუალებებზე (ხაზი, ლაქა, შუქ-ჩრდილი, ტონი და გრადაცია და ა.შ.) საუბარი.
3. საუბარი ვან გოგის ნახატზე „როლენის პორტრეტი" და წინა გაკვეთილზე შესრულებულ ნამუშევართა პრეზენტაცია.

მოსწავლეთა ორგანიზება

ინდივიდუალური, ჯგუფური.

დროის განაწილება

1. შესავალი საუბარი – 8 წუთი
2. პირველი აქტივობა – წუთი
3. მეორე აქტივობა – წუთი
4. მესამე აქტივობა – წუთი

რესურსები

ილუსტრაციები მოსწავლის წიგნიდან ან სხვა შესაფერისი ილუსტრაციები, მაგალითად, კომპიუტერული გამოსახულებები, ლეპტოპი (ბუკი).

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლე იცნობს გრაფიკული მასალებით მუშაობის სპეციფიკას და გამომსახველობით საშუალებებს, შეუძლია ამ თემაზე მსჯელობა საკუთარი და სხვისი ნაწარმოებების საფუძველზე.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.VIII.10 მოსწავლე ამოიცნობს და ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშებს. (ინდ.1,2,4)

ს.გ.VIII.7 მოსწავლე წარმოადგენს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ნამუშევრებს და მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით გამოთქვამს და ასაბუთებს საკუთარ აზრს ხელოვნების ნაწარმოების შესახებ (ინდ.1,2,3).

შეფასება

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

1. იცნობს და ასახელებს ზოგიერთ გრაფიკულ მასალებს და შეუძლია ნამუშევარში მათი ამოცნობა (ინდ).
2. მსჯელობს გრაფიკულ მასალათა გამომსახველობით შესაძლებლობებზე ნაწარმოებების შედარების საფუძველზე (ინდ).
3. წარმოადგენს კლასის წინაშე საკუთარ და სხვის ნამუშევრებს, მსჯელობს მათ თემატიკაზე და შესრულების თავისებურებებზე. (ჯგუფ)

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს, წარმოიდგინონ, რა მოხდება, უცებ რომ გაქრეს ყველაფერი, რაც ნახატთანაა დაკავშირებული – არა მარტო ცნობილი მხატვრების მიერ ფანქრით, ნახშირით, ტუშით და სხვა მასალით შესრულებული ნამუშევრები, არამედ, მაგალითად, ესკიზებიც. (სავარაუდო პასუხი: აღარ იქნება შენობები, რადგანაც გაქრება არქიტექტურული ესკიზები, დიზაინერები ვეღარ შექმნიან ავეჯს, ტანსაცმელს, ჭურჭელს, მანქანებს და სხვა საჭირო ნივთებს, გაქრება სპექტაკლები და კინოფილმები (ან დარჩება, მაგრამ დეკორაციების, გრიმისა და კოსტიუმების გარეშე), ილუსტრირებული წიგნები, რეკლამა, პლაკატები, აფიშები, ჟურნალ-გაზეთები. გაქრება კომპიუტერულ გრაფიკასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები – ესეც ხომ ნახატია, ოღონდ ელექტრონული მედიით შესრულებული, და სხვ.). ამ საუბრით მასწავლებელს ბავშვები ნახატის მნიშვნელოვნების გააზრებამდე მიჰყავს. შემდეგ მასწავლებელი აწვდის ბავშვებს მოკლე ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როდის და სად შეიქმნა სახატავი მასალები, მათ შორის ვერცხლის ფანქარი, იტალიური ფანქარი, სანგინა და ჩვეულებრივი (გრაფიტის) ფანქარი (იხ. მოსწავლის სახელმძღვანელო).

აქტივობა I:

შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს სხვადასხვა მასალით შესრულებული ნაწარმოებების რეპროდუქციებს, სადაც მასალა მითითებული არ

არის, (ლეონარდო და ვინჩის „მეომარი მუზარადით" – ვერცხლის ფანქარი, მიქელანჯელოს ესკიზი – სანგინა, ფრანსუა კლუე, „საფრანგეთის მეფის ფრანსუა II-ის პორტრეტი" – ფერადი ფანქრები) და სთხოვს, ისაუბრონ, თუ რა თავისებურებებით გამოირჩევა ყოველი მათგანის ხაზი და ფერი და ამ საფუძველზე გამოთქვან ვარაუდი, თუ რომელ მხატვარს რომელი მასალა აქვს გამოყენებული.

აქტივობა II:

ამის შემდეგ მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს სხვადასხვა მხატვრების მიერ (ე. ბერნ-ჯონსი, „ესკიზი“, ცარცი; გ.კურბე, „ჟიულიეტი," ნახშირი; ენგრი, „ქ-ნი ბოლარი," ფანქარი;) სხვადასხვა მასალით და სხვადასხვა მანერით შესრულებულ ნამუშევართა რეპროდუქციებს (მასალა მითითებულია) და სთხოვს, ისაუბრონ იმაზე, თუ გამოსახვის რა ხერხებს (კონტური, ლაქა, შუქ-ჩრდილი, ტონალური გრადაცია) მიმართავს თითოეული მხატვარი და დაახასიათონ ყოველი მხატვრის მანერა იქვე მოყვანილი სიტყვების გამოყენებით (მკაფიო, რბილი, მკვეთრი, ბუნდოვანი, მოცულობრივი, ჰაეროვანი, წონადი, ნაზი). აქტივობის მიზანია, ვაჩვენოთ მოსწავლეებს, რომ განსხვავებული მასალის გამოყენების შემთხვევაში ნამუშევრები განსხვავებულ შთაბეჭდილებას ქმნიან.

აქტივობა III:

მოსწავლეები აკვირდებიან ვან გოგის ნახატს „როლენის პორტრეტი” და მსჯელობენ შესრულების მანერაზე და იმაზე, თუ რა შთაბეჭდილებას ტოვებს იგი (იხ. მოსწავლის სახელმძღვანელო).

შემდეგ მოსწავლეები წარმოადგენენ წინა გაკვეთილზე მათ მიერ შესრულებულ ნამუშევრებს (თემა „მეგობრის პორტრეტი“) და საუბრობენ თემაზე „ჩემი მეგობარი". ისინი ყვებიან, როგორი ხასიათი აქვს მათ მეგობარს, რა თვისებები უნდოდათ გამოეკვეთათ მის პორტრეტში და შესძლეს თუ არა მიზნის მიღწევა.

5. მხატვარი მხატვრის თვალით

ინტეგრირება:

ისტორია

მიზანი: გამოჩენილ მხატვართა ავტოპორტრეტების გაცნობის, მსჯელობისა და შედარება-შეპირისპირების საფუძველზე და ავტოპორტრეტის ესკიზების

შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა დაკვირვებულობა, ანალიზისა და მსჯელობის უნარები და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

აქტივობები:

1. გამოჩენილ მხატვართა ავტოპორტრეტების სიუჟეტურ და ემოციურ მხარეზე საუბარი (მარტივად);
2. გამოჩენილ მხატვართა ავტოპორტრეტების მხატვრულ მხარეზე საუბარი (მარტივად);
3. მოკლე ამბის მოგონება გამოსახული პერსონაჟის შესახებ და მოყოლა კლასის წინაშე;
4. გრაფიკული ესკიზების შესრულება ავტოპორტრეტისათვის.

მოსწავლეთა ორგანიზება

ინდივიდუალური, ჯგუფური

დროის განაწილება

1. შესავალი საუბარი – 5 წთ.
2. პირველი აქტივობა – 5-7 წთ.
3. მეორე აქტივობა – 5-7 წთ;
4. მესამე აქტივობა – 10-12 წთ;
5. მეოთხე აქტივობა – 20 წთ.

რესურსები:

ილუსტრაციები მოსწავლის წიგნიდან ან სხვა შესაფერისი ილუსტრაციები, მაგალითად, კომპიუტერული გამოსახულებები, ლეპტოპი (ბუკი). გრაფიკული სახატავი მასალა-იარაღები: სახატავი ფურცლები, ფანქრები ან სხვ.

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლე იცნობს ავტოპორტრეტის ჟანრს და შეუძლია მასზე საუბარი, შეუძლია გრაფიკული საშუალებებით ავტოპორტრეტის შექმნა (ელემენტარულ დონეზე).

სტანდარტთან შესაბამისობა

შეფასება

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

1. იცნობს ავტოპორტრეტის ჟანრს და შეუძლია მასზე საუბარი;
2. შეუძლია გრაფიკული საშუალებებით ავტოპორტრეტის ესკიზების შექმნა (მარტივად).

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ რისი გაგება შეიძლება ხელოვანთა ავტოპორტრეტების მეშვეობით, როგორ აღიბეჭდება ავტოპორტრეტზე ავტორის გარეგნობა და მისი შინაგანი სამყარო.

აქტივობა I:

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული ავტოპორტრეტების რეპროდუქციებს ან კომპიუტერულ გამოსახულებებს და სთხოვს, ისაუბრონ გამოსახული პერსონაჟების შესახებ: რა შეუძლიათ მათ თქვან აქ გამოსახული ადამიანების ასაკსა და გარეგნობაზე: ახალგაზრდები არიან ისინი თუ ხანდაზმულები, ლამაზები თუ არა? სახის როგორი გამომეტყველება აქვთ ამ მხატვრებს? მათი აზრით, ისინი საინტერესო, ჭკვიანი პიროვნებები არიან თუ არა? ეს პორტრეტები შელამაზებულია თუ სწორად გადმოსცემს მსგავსებას? რატომ ჰგონიათ ასე? ამ პორტრტებს რა აქვთ საერთო და რა - განსხვავებული?

აქტივობა II:

მოსწავლეები ათვალიერებენ ცნობილ ხელოვანთა ავტოპორტრეტებს და საუბრობენ მათ მხატვრულ მხარეზე: რა მასალითაა ისინი შესრულებული, როგორი ფერებია ამ სურათებზე გამოყენებული – ცივი თუ თბილი, სად როგორი ტონებია – სად ღია, ნათელი და სად – მუქი, როგორია ფონი, როგორ და რა საშუალებითაა გადმოცემული მხატვრების შინაგანი სამყარო: როგორი პოზები და ჟესტები აქვთ მათ, როგორი სამოსელი და აქსესუარები და ა.შ., რომელი პორტრეტი უფრო მოსწონთ მათ და რატომ.

აქტივობა III:

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და იგონებენ მოკლე ამბავს ერთ-ერთ ავტოპორტრეტზე გამოსახული პერსონაჟის შესახებ. ამის შემდეგ მოსწავლეები ყვებიან ამ ისტორიას კლასის წინაშე.

აქტივობა IV:

მოსწავლეები ასრულებენ გრაფიკულ ესკიზებს შესრულება ავტოპორტრეტისათვის.

სამუშაოს დასრულების შემდეგ ნამუშევრები გამოიფინება კლასში. მოსწავლეები და მასწავლებელი საუბრობენ მათ შესახებ, აღნიშნავენ, რა გამოვიდა კარგად და რისი შესწორება გააუმჯობესებდა ნამუშევრებს.

მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღება აქცევს იმას, რომ კლასში იყოს სერიოზული, მეგობრული და საქმიანი ატმოსფერო და საუბარი არ გადაიზარდოს არასერიოზულ ან დამცინავ კომენტარებად. მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მათი შენიშვნები ძირითადად დადებითი ხასიათისა უნდა იყოს, ხოლო კრიტიკული შენიშვნები არ უნდა შეიცავდეს დამცინავ ელემენტებს.

6. საცხოვრებელი არქიტექტურა

ინტეგრირება:

გეოგრაფია

მიზანი: მოსწავლე ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნების საცხოვრებელთა ტიპებს და ქმნის ქაღალდის პლასტიკის ტექნიკის მეშვეობით იაპონური სოფლის ამსახველ ნამუშევარს, მონაწილეობს პრეზენტაციაში.

აქტივობები:

1. სხვადასხვა ქვეყნის საცხოვრებელი არქიტექტურის ტიპების გაცნობა და მათი შედარება (ზოგადად);
2. საცხოვრებელი სახლების მაკეტების შესასრულებლად საჭირო მოსამზადებელი სამუშაო;
3. მოსწავლეები ასრულებენ საცხოვრებელი არქიტექტურის ნიმუშს ქაღალდის პლასტიკის ტექნიკით.

მოსწავლეთა ორგანიზება

ინდივიდუალური, ჯგუფური

დროის განაწილება

1. შესავალი საუბარი – 2-3 წთ.
2. პირველი აქტივობა – 5-7 წთ.
3. მეორე აქტივობა – 8-13 წთ.
4. მესამე აქტივობა – 20 წთ.

რესურსები:

მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციები და ინსტრუქციები, მასალები ინტერნეტიდან ან წიგნებიდან, ლეპტოპი, მუყაოს ორი ფურცელი ან რაიმე შესაფერისი კოლოფი, ჭრელი ქაღალდები სახლებისათვის, მაკრატელი, წებო, საღებავები ან პასტელები. სურვილის შემთხვევაში შეიძლება რაიმე დეტალებისა და აქსესუარების გამოყენება.

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლე აღრმავებს თავის ცოდნას საცხოვრებელი არქიტექტურის შესახებ და შეუძლია მისი შესრულება ქაღალდის პლასტიკის ტექნიკით.

სტანდარტთან შესაბამისობა

შეფასება

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

1. იცნობს საცხოვრებელი არქიტექტურის დარგს და შეუძლია მასზე საუბარი (ელემენტარულ დონეზე);
2. ქაღალდის პლასტიკის ტექნიკის მეშვეობით ქმნის საცხოვრებელი სახლების მაკეტებს.

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა არის საცხოვრებელი არქიტექტურა და რა იციან მის შესახებ, დაასახელონ საცხოვრებელი ნაგებობები, რომლებიც განსაკუთრებით მოსწონთ. მასწავლებელი და მოსწავლეები ათვალიერებენ სხვადასხვა ქვეყნის საცხოვრებელი არქიტექტურის ნიმუშებს და საუბრობენ მათ მრავალფეროვნებაზე.

აქტივობა I:

მოსწავლეები ადარებენ სხვადასხვა ქვეყნების საცხოვრებელი არქიტექტურის გამოსახულებებს და საუბრობენ მათ სახასიათო თვისებებზე.

აქტივობა II:

ჯგუფებად დაყოფილი მოსწავლეები ირჩევენ ქვეყანას, რომლის საცხოვრებელი არქიტექტურაც ყველაზე მეტად აინტერესებთ, და ატარებენ მოსამზადებელ სამუშაოს: ზოგი მათგანი ეძებს ცნობებს ინტერნეტში, ზოგი – სკოლის

ბიბლიოთეკაში, ზოგი მოიძიებს საილუსტრაციო მასალას ინტერნეტში ან ხელმისაწვდომ წიგნში.

აქტივობა III:

მოსწავლეები ასრულებენ საცხოვრებელი არქიტექტურის ნიმუშს ქაღალდის პლასტიკის ტექნიკით. (სახელმძღვანელოში მოცემულია ნიმუში: იაპონური დაბის მაკეტი. მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ ეს მაგალითი, მაგრამ შეუძლიათ აგრეთვე შექმნან საკუთარი).

სამუშაოს დასრულების შემდეგ ნამუშევრები გამოიფინება კლასში. მოსწავლეები და მასწავლებელი საუბრობენ მათ შესახებ, აღნიშნავენ, რა გამოვიდა კარგად და რისი შესწორება გააუმჯობესებდა ნამუშევრებს.

7. ფერით ასახული მელოდია

ინტეგრირება:

მუსიკა

მიზანი: მოსწავლე სხვადასხვა კულტურების ცნობილი ხელოვანების ნაწარმოებების გაცნობის საფუძველზე ეცნობა მუსიკის როლს სახვით ხელოვნებაში და აცნობიერებს ხელოვნების ამ ორი სახეობის ურთიერთკავშირს.

აქტივობები:

1. მოსწავლეები ათვალიერებენ მუსიკასთან დაკავშირებულ ფერწერულ ნაწარმოებებს და მსჯელობენ მათ შესახებ.
2. მოსწავლეები ასრულებენ კოლაჟს მუსიკალური ინსტრუმენტების გამოსახულებით.

მოსწავლეთა ორგანიზება

ინდივიდუალური

დროის განაწილება

1. შესავალი საუბარი – 5-7 წთ.
2. პირველი აქტივობა – 8-10 წთ.
3. მეორე აქტივობა – 25 წთ.

რესურსები:

შესაფერისი საილუსტრაციო ან კომპიუტერული მასალა, ლეპტოპი (ბუკი), სხვადასხვა სახის ქაღალდი, მუყაო, გაზეთები და ჟურნალები, ქსოვილის, ხის ან ლითონის დეტალები, წებო, მაკრატელი.

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებს შეუძლიათ კოლაჟის შექმნა მუსიკალური ინსტრუმენტების გამოსახულებით.

სტანდარტთან შესაბამისობა

შეფასება

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

1. იცნობს გამოჩენილი მხატვრების ნაწარმოებებს მუსიკალური საკრავების გამოსახულებით და საუბრობს მათ შესახებ.
2. ქმნის ნაირგვარი მასალისაგან კოლაჟს მუსიკალური საკრავის გამოსახულებით.

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმაზე, რომ ხელოვანისთვის შთაგონების წყაროდ ხშირად სხვა დარგის ხელოვნება იქცევა ხოლმე, მაგალითად, მუსიკოსი წერს სიმღერას რაიმე ლექსზე, რეჟისორი იღებს ფილმს რომანის მიხედვით, მწერალს ფერწერული ტილო მოთხრობას შთააგონებს, ქორეოგრაფი დგამს ბალეტს მუსიკალური ნაწარმოებების საფუძველზე და ა.შ. ხშირად ხდება ისეც, რომ მხატვარი გამოსახავს თეატრის, ესტრადის ან ცირკის მხახიობს.

აქტივობა I:

მოსწავლეები ათვალიერებენ სხვადასხვა პერიოდისა და მიმართულების მხატვართა ნაწარმოებებს და მსჯელობენ მათი შინაარსისა და მხატვრული მხარის შესახებ.

აქტივობა II:

მოსწავლეები სხვადასხვა სახის ქაღალდის, მუყაოს, გაზეთებისა და ჟურნალების, ქსოვილის, ხის ან ლითონის დეტალებისაგან აკეთებენ კოლაჟს მუსიკალური საკრავების გამოსახულებით.

დასრულებული ნამუშევრები გამოიფინება კლასში, მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ წარდგინებაში.

8. მსახიობი მხატვრის თვალით

ინტეგრირება:

ლიტერატურა

მიზანი: შევუქმნათ მოსწავლეს წარმოდგენა სახვით ხელოვნებაში თეატრისა და საცირკო თემათიკის მნიშვნელოვნების შესახებ, ცნობილი ხელოვანების ნაწარმოებების გაცნობის საფუძველზე. განვავითაროთ მოსწავლეთა მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

აქტივობები:

1. მსჯელობა სხვადასხვა მხატვართა მიერ გამოსახულ მსახიობთა პორტრეტების შესახებ.
2. მოკლე მოთხრობის მოფიქრება რომელიმე პორტრეტის პერსონაჟზე.
3. მოსწავლეები დეტალებისა და აქსესუარების საშუალებით ამოიცნობენ, თუ დაახლოებით რომელ პერიოდში და რომელ ქვეყანაში ცხოვრობდა გამოსახული მსახიობი.

მოსწავლეთა ორგანიზება

ინდივიდუალური

დროის განაწილება

1. შესავალი საუბარი – 5-8 წთ.
2. პირველი აქტივობა – 10 წთ.
3. მეორე აქტივობა – 15 წთ.
4. მესამე აქტივობა – 8-10 წთ.

რესურსები:

შესაფერისი საილუსტრაციო ან კომპიუტერული მასალა, ლეპტოპი (ბუკი),

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებს შეუძლიათ მსჯელობა სხვადასხვა ქვეყნისა და პერიოდის მხატვრების ნაწარმოებებზე, რომლებიც თეატრალური სამყაროს მოღვაწეების პორტრეტებს ასახავს.

სტანდარტთან შესაბამისობა

შეფასება

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

1. მსჯელობს სხვადასხვა მხატვართა მიერ გამოსახულ მსახიობთა პორტრეტების შესახებ.
2. იგონებს მოკლე მოთხრობას შესაბამისი ფერწერული ტილოს საფუძველზე და ყვება მას კლასის წინაშე.
3. დეტალებისა და აქსესუარების საშუალებით ამოიცნობს, თუ დაახლოებით რომელ პერიოდში და რომელ ქვეყანაში ცხოვრობდა გამოსახული მსახიობი.

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ იმის შესახებ, რომ ფერწერული ნაწარმოების შექმნის შთაგონების წყაროს ზოგჯერ სხვა დარგის, მაგალითად, თეატრის სფერო წარმოადგენს და ათვალიერებენ შესაბამის ვიზუალურ მასალას.

აქტივობა I:

მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, თუ რომელ სურათზეა გამოსახული თეატრის მსახიობი, რომელზე – ესტრადის და რომელზე – ცირკის, აყალიბებენ თავიანთი აზრის გამამყარებელ არგუმენტებს და ასახელებს დამახასიათებელ ნიშნებს.

აქტივობა II:

მოსწავლეები ირჩევენ რომელიმე პორტრეტს მსახიობის გამოსახულებას და წერენ მოკლე მოთხრობას მის შესახებ. შემდეგ მოთხრობებს კითხულობენ კლასის წინაშე.

აქტივობა III:

მოსწავლეები ათვალიერებენ სურათებს და დეტალებისა და აქსესუარების საფუძველზე გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ რომელ ეპოქასა თუ ქვეყანაში ცხოვრობდა გამოსახული პერსონაჟი.

9. თეატრალური ნაგებობები

ინტეგრირება: ისტორია, ლიტერატურა.

მიზანი: გავაცნოთ მოსწავლეებს თეატრალური შენობების შექმნისა და განვითარების მოკლე ისტორია და მათი თავისებურებანი სხვადასხვა ეპოქებსა და ქვეყნებში. განვავითაროთ მოსწავლეთა ფანტაზია, ანალიტიკური აზროვნება და მსჯელობის უნარი.

აქტივობები:

1. ანტიკური და XVI ს-ის თეატრალური შენობების შედარება. (ინდ.)
2. საუბარი თანამედროვე თეატრალურ შენობებზე. (ჯგუფ.)
3. საკუთარი წარმოსახვით შექმნილი თეატრის ესკიზის შესრულება. (ჯგუფ.)

მოსწავლეთა ორგანიზება

ინდივიდუალური, ჯგუფური.

დროის განაწილება

1. შესავალი საუბარი – 3-5 წუთი
2. პირველი აქტივობა – 5-7 წუთი
3. მეორე აქტივობა – 5-7 წუთი
4. მესამე აქტივობა – 25 წუთი

რესურსები

ილუსტრაციები მოსწავლის წიგნიდან (ან სხვა შესაფერისი ილუსტრაციები), სახატავი ფურცლები ან ალბომი, უბრალო (გრაფიტის) და ფერადი ფანქრები, საშლელი (სურვილის შემთხვევაში შეიძლება სხვა მასალის, მაგ. აკვარელის გამოყენებაც).

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეები იცნობენ თეატრის არქიტექტურის განვითარების გზას, შეუძლიათ მასზე მსჯელობა და შენობის ესკიზის შესრულება.

სტანდარტთან შესაბამისობა

შეფასება

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

1. იცნობს და ასახელებს ყველაზე მნიშვნელოვან თეატრალურ შენობებს, მათი შექმნის მიზეზებს, დანიშნულებასა და ზოგად აგებულებას.
2. მსჯელობს კლასის წინაშე თეატრალური შენობების შესახებ.
3. მოიფიქრებს და ასრულებს თეატრის ფასადის ან ინტერიერის ესკიზს.

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, უნახავთ თუ არა თეატრალური წარმოდგენა (ცოცხლად, ტელევიზიით და სხვ.), რა წარმოდგენა იყო ეს, რომელ თეატრში დაიდგა იგი და როგორი შთაბეჭდილება დარჩათ მათ. ამის შემდეგ იგი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ, რა არის საჭირო თეატრალური წარმოდგენის ჩასატარებლად (სავარაუდო პასუხები: სპეციალური შენობა, სადაც იქნება სცენა, მაყურებელთა დარბაზი და დამხმარე სათავსოები რეკვიზიტის შესანახად და მსახიობების მოსამზადებლად, გარდა ამისა, საჭიროა პიესა, რეჟისორი, მსახიობები, მაყურებლები, დეკორაციები და კოსტიუმები, მუსიკა, განათება, გრიმი და სხვ.) ამის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს, შესაძლებელია თუ არა წარმოდგენის ჩატარება, თუ ჩამოთვლილიდან მხოლოდ ერთი კომპონენტია სახეზე (მაგ. გვყავს მხოლოდ მსახიობები), თუ აუცილებელია ყველა ეს კომპონენტი (ან მათი უმეტესობა). სავარაუდო პასუხია: საჭიროა ყველა კომპონენტი. ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს ჩამოთვალონ, თეატრის გარდა, კიდევ სად გვხვდება ხელოვნების სხვა დარგების, მაგ. არქიტექტურის, ფერწერის, ქანდაკების, მუსიკის, ქორეოგრაფიის ერთიანობა (სავარაუდო პასუხები: კინო, ოპერა, ბალეტი, ტელევიზია და ა.შ.) და უხსნის, რომ დარგების ასეთ შერწყმას ხელოვნებათა სინთეზი (ე.ი. გაერთიანება) ეწოდება, ხოლო ასეთ დარგს – სინთეზური ხელოვნება.

აქტივობა I:

შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა იციან მათ დიონისეს შესახებ (წინა წლის მასალიდან), რასაც მოჰყვება საუბარი თეატრის წარმოქმნაზე ძველ საბერძნეთში. მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს საილუსტრაციო მასალას და ესაუბრება თეატრალურ შენობებზე, მათი შექმნის მიზეზებზე, დანიშნულებასა და ზოგად აგებულებაზე.

ამის შემდეგ მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს საილუსტრაციო მასალას შექსპირის „გლობუსის“ თეატრის გამოსახულებებით, აწვდის მოკლე ინფორმაციას მის შესახებ (იხ. მოსწავლის სახელმძღვანელო) და სვამს კითხვებს („როგორია შენობის აგებულება? სადაა განლაგებული მაყურებელთა ადგილები? როგორ არის განლაგებული სცენა? სად იყო, სავარაუდოდ, დამხმარე სათავსოები? თეატრის რომელი ნაწილებია გადახურული და რომელი – არა? არის თუ არა ფარდა?“) ამის შემდეგ იგი სთხოვს მოსწავლეებს, აღნიშნონ, თუ რა მსგავსება-განსხვავებებს ხედავენ „გლობუსსა“ და ძველბერძნულ თეატრს შორის.

აქტივობა II:

შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი საილუსტრაციო მასალის დახმარებით უჩვენებს მოსწავლეებს, თუ რა ეტაპები გაიარა თეატრის შენობამ დღევანდელ დღემდე (პალადიოს თეატრი „ოლიმპიკო“, „კომედი ფრანსეზი“, სიდნეის ოპერის შენობა) და სთხოვს, ისაუბრონ იმ ასოციაციებზე, რომლებსაც იწვევს მათში ამ უკანასკნელის უჩვეულო ფორმა (სავარაუდო ასოციაციები: აფრებთან, ნიჟარებთან, ღრუბლებთან და ა.შ.). მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს, მოსწონთ თუ არა მათ ასეთი გადაწყვეტა და არის თუ არა იგი რაიმე კავშირში გარემოსთან (სავარაუდო პასუხი: შენობა ზღვის პირას არის განლაგებული და შესაძლოა, მისი ფორმები ამით იყოს შთაგონებული).

აქტივობა III:

ამის შემდეგ მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად. მათ უნდა მოიფიქრონ, როგორი თეატრის აგებას ისურვებდნენ და ესკიზის სახით გამოსახონ თავიანთი იდეები (მაგ. რომელიმე ჯგუფმა მოისურვა თოჯინების თეატრის შექმნა და ზღაპრული სასახლის იერი მიანიჭა მას და ა.შ.).

მასწავლებელმა ყურადღებით უნდა ადევნოს თვალი მუშაობის პროცესს, რათა იგი ორგანიზებულად წარიმართოს, საჭიროების შემთხვევაში იგი დახმარებას აღმოუჩენს მოსწავლეებს, მაგრამ სასურველია, რომ მათ ძირითადად დამოუკიდებლად იმუშაონ და თავად გადაწყვიტონ წამოჭრილი პრობლემები.

სასურველია დასრულებულ ნამუშევართა შენახვა, რათა შემდგომში მოეწყოს ამ თემისადმი მიძღვნილ ნამუშევართა საკლასო გამოფენა.

10. გააკეთე თეატრალური დეკორაცია

ინტეგრირება:

ისტორია

მიზანი: ქაღალდისაგან მარტივი სამაგიდო თეატრალური დეკორაციის შექმნის პროცესში განვავითაროთ მოსწავლის პრაქტიკული უნარ–ჩვევები ქაღალდის პლასტიკის ტექნიკაში, განვავითაროთ მათი ფანტაზია და გემოვნება.

აქტივობები:

1. მოსწავლე ეცნობა თეატრალური მხატვრის როლს ამ სფეროში და აცნობიერებს მის მნიშვნელობას.
2. მოსწავლე მოიფიქრებს და შეასრულებს მარტივ სამაგიდო დეკორაციას თოჯინების თეატრისთვის.

მოსწავლეთა ორგანიზება

ინდივიდუალური, გუნდური

დროის განაწილება

1. შესავალი საუბარი – 10 წთ.
2. პირველი აქტივობა – 5-8 წთ.
3. მეორე აქტივობა – 25 წთ.

რესურსები:

სქელი ქაღალდი, გრაფიტის ფანქარი, საშლელი, მაკრატელი, სასურველი მასალა ესკიზის გასაფერადებლად: გუაშის საღებავები, ფერადი ფანქრები ან პასტელები.

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეები ქაღალდის ან მუყაოსაგან ამზადებენ მარტივ სამაგიდო დეკორაციას თოჯინების თეატრისათვის.

სტანდარტთან შესაბამისობა

შეფასება

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლეს:

1. აქვს წარმოდგენა თეატრალური დეკორაციის შესახებ და თეატრის მხატვრის მოღვაწეობის შესახებ.
2. მოსწავლე კლასთან ერთად მონაწილეობს სამაგიდო დეკორაციის შექმნაში თოჯინების თეატრისათვის.

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, რომ მხატვრობისა და თეატრის კავშირი ძალზე მრავალმხრივი და მტკიცეა. იგი აღნიშნავს, რომ

სპექტაკლები დეკორაციების ფონზე მიმდინარეობს, მსახიობებს კი სპეციალური კოსტიუმები აცვიათ, უკეთიათ პარიკები და გრიმი, ყოველივე ამას კი თეატრის მხატვარი იგონებს. იგი ასრულებს ჩანახატებს, რომლის მიხედვითაც შემდეგ უნდა მოეწყოს სცენა და გამოეწყოს მსახიობი. მისი სამუშაო ძალიან მნიშვნელოვანია.

აქტივობა I: მოსწავლეები ასრულებენ გუნდურ სამუშაოს. ისინი ინაწილებენ მოვალეობებს: ნაწილი იზრუნებს პიესის შერჩევაზე, ნაწილი – თოჯინების დამზადებაზე, ნაწილი, დეკორაციებზე, ნაწილი კი საორგანიზაციო საკითხებს გადაჭრის. ეს პროცესი შეიძლება რამდენიმე გაკვეთილზე დაიგეგმოს. ალბათ, პიესისთვის საჭირო იქნება იქნება რამდენიმე დეკრაცია, რომლებსაც მოსწავლეები თავად გააკეთებენ ქაღალდისაგან, როგორც ეს მოსწავლის წიგნშია ნაჩვენები.

აქტივობა II: დეკორაციების შესრულების შემდეგ მოსწავლეები და მასწავლებელი მსჯელობენ იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებენ მათ პიესის შესრულების დროს, საუბრობენ იმაზე, თუ რამდენად შესაფერისი გამოვიდა დეკორაციებო და როგორია მათი შესრულება.

14. ნიღბები

ინტეგრირება: ისტორია, ლიტერატურა.

მიზანი: შევუქმნათ მოსწავლეებს წარმოდგენა იმაზე, თუ რა როლი აქვს ნიღაბს სხვადასხვა სფეროში და განსაკუთრებით – თეატრში. ორიგინალური ნიღბის მოფიქრებისა და შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლის შემოქმედებითი უნარი, ფანტაზია და გემოვნება.

აქტივობები:

1. მსჯელობა სხვადასხვა ტიპის ნიღბების შესახებ.
2. პრაქტიკული სამუშაო – ნიღბის დიზაინის მოფიქრება და მისი შესრულება

მოსწავლეთა ორგანიზება

ინდივიდუალური, ჯგუფური.

დროის განაწილება

1. შესავალი საუბარი – 3-5 წუთი

2. პირველი აქტივობა – 5-7 წუთი
3. მეორე აქტივობა – 30 წუთი.

რესურსები

ილუსტრაციები მოსწავლის წიგნიდან (ან სხვა შესაფერისი ილუსტრაციები), მაგარი ქაღალდის ან თხელი მუყაოს ფურცლები, უბრალო (გრაფიტის) და ფერადი ფანქრები, საშლელი (სურვილის შემთხვევაში შეიძლება სხვა მასალის, მაგ. გუაშის ან აკვარელის გამოყენებაც), მაკრატელი, ზონარი, საჭიროების შემთხვევაში – შესამკობი მასალა (ბუმბულები, მძივები, ფერადი ძაფები, პატარა ნიჟარები, ფოჩები და სხვ.).

მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები იცნობენ ნიღბების სხვადასხვა ტიპებს და მათ როლს თეატრში და შეუძლიათ ამ თემაზე დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულება.

სტანდარტთან შესაბამისობა:

შეფასება

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

1. მსჯელობს ნიღბების სხვადასხვა ტიპებზე, მათ დანიშნულებაზე და გამოყენების გზებზე.
2. შეუძლია ნიღბის დიზაინის მოფიქრება და მისი დამოუკიდებლად შესრულება.

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს საილუსტრაციო მასალას (მაგ. მუზარადიანი რაინდის, ნიღბიანი ექიმის, მსახიობის, ნიღბიანი შამანის, აირწინაღიანი სამხედროს ან რომელიმე სხვა სურათს) და ეკითხება მათ, თუ რა აქვთ საერთო ამ პერსონაჟებს (სავარაუდო პასუხი: ყველას სახე აქვს რაიმეთი დაფარული).

აქტივობა I:

ამის შემდეგ მასწავლებელი ჰყოფს კლასს ჯგუფებად და სთხოვს ბავშვებს, მოიფიქრონ, რა შემთხვევაში იხმარება ნიღბები: ა) ყოველდღიურ ცხოვრებაში, ბ) პროფესიულ საქმიანობაში, გ) გართობისათვის, დ) ხელოვნებაში. (სავარაუდო პასუხები: მიკრობებისაგან, გამოსხივებისგან ან მავნე გაზებისაგან თავდასაცავად,

სამხედრო ან პოლიციური ღონისძიებების დროს, კარნავალსა და მასკარადზე, თეატრსა და პანტომიმაში და სხვ.) მოტივაციის ასამაღლებლად თითო სწორ პასუხზე ქულის დაწესება შეიძლება და ის ჯგუფი, რომელიც მეტ ქულას მოაგროვებს, მოგებულად ჩაითვლება.

შემდეგ მასწავლებელი საილუსტრაციო მასალის მოშველიებით აწვდის მოსწავლეებს მოკლე ინფორმაციას სხვადასხვა ქვეყნების (ძირითადად საბერძნეთის) თეატრში ნიღბების გამოყენების ტრადიციაზე (იხ. მოსწავლის სახელმძღვანელო)

აქტივობა II:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ და შეასრულონ საკუთარი ნიღაბი. იგი უჩვენებს მოსწავლეებს, როგორ უნდა გაკეთდეს ქაღალდისაგან ნიღაბი (იხ. მოსწავლის სახელმძღვანელო). მართალია, ნიმუშები მოცემულია მოსწავლის წიგნში, მაგრამ მასწავლებელმა უნდა მიუთითოს ბავშვებს, რომ მათი ზუსტი კოპირება საჭირო არ არის – მათ შეუძლიათ იმავე თემაზე შექმნან საკუთარი ნაწარმოები – შეცვალონ ფორმა, ფერები და კომპოზიცია, ან თუნდაც გამოიყენონ სხვა, მათთვის სასურველი მასალა. მასწავლებელი უნდა ეცადოს, წააქეზოს ბავშვები, მოიგონონ და შეასრულონ დავალების საკუთარი, ორიგინალური ვარიანტი, რადგანაც ეს უკეთ ანვითარებს შემოქმედებით უნარს და პრობლემათა გადაჭრის უნარ-ჩვევებს.

მასწავლებელმა თვალყური უნდა ადევნოს მუშაობის პროცესს, რათა საჭიროების შემთხვევაში დახმარება აღმოუჩინოს მოსწავლეს და უზრუნველჰყოს უსაფრთხოების წესების დაცვა სამუშაო იარაღების (მაგ. მაკრატლის) ხმარებისას.

სასურველია დასრულებული ნაწარმოებების შენახვა, რათა მომავალში შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება საკლასო კარნავალზე ან წარმოდგენისთვის.

თავი II

26. შემაჯამებელი გაკვეთილი

მიზნები: მოსწავლეთა მიერ ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება.

ამოცანები: მოსწავლეები მონაწილეობენ ინტელექტუალურ თამაშში და აგრეთვე პრაქტიკული აქტივობის შესრულების საფუძველზე ახდენენ ათვისებული უნარების დემონსტრირებას.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(II).3, ს.გ.დაწყ.(II).4, ს.გ.დაწყ.(II).5.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

ვიზუალური მასალა – რეპროდუქციები ან კომპიუტერული გამოსახულებები, სადაც ასახულია სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნაწარმოებები, პროექტორი.

გაკვეთილის გეგმა

1. შესავალი საუბარი 3 წთ;
2. სააზროვნო კითხვები – 5წთ;
3. საკონტროლო თამაში-აქტივობა 12 წთ;
4. პრაქტიკული აქტივობა 15 წთ;
5. შედეგების ანალიზი 3 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები აღნიშნავენ, რომელი ახალი ტერმინები და ცნებები შეისწავლეს, რა ტექნიკებს გაეცნენ, რომელ ახალ უნარ-ჩვევებს დაეუფლნენ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ, რა შეიტყვეს ახალი (მაგალითად: მათ განამტკიცეს თავიანთი ცოდნა ხელოვნების დარგების შესახებ და გაიცნეს ახალი დარგები და ჟანრები, გაეცნენ სხვადასხვა ქვეყნების მხატვრულ ტრადიციებს, გააღრმავეს ცოდნა მხატვრული გამომსახველობის საშუალებების – ხაზის, ფერის, ლაქის შესახებ. ისინი აგრეთვე ფლობენ ფერადი ფანქრებით, პასტელით, აკვარელის და გუაშის საღებავებით და პლასტილინით მუშაობის ძირითად ხერხებს, შეუძლიათ შერეული მასალით მუშაობა, ფერადი ქაღალდის და სხვა შესაფერისი მასალის დაწებებით ბრტყელი ან მოცულობრივი ნამუშევრების შექმნა და არატრადიციული მასალების გამოყენება).

შინაარსის რეალიზების ფაზა

მასწავლებელი უსვამს მოსწავლეებს სააზროვნო ტიპის კითხვებს, მაგალითად: „როგორ გგონიათ, რამ განაპირობა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული ტიპის საცხოვრებელი ნაგებობების გავრცელება?“, ან, „როგორ გგონია, რატომ ეკეთათ ნიღბები ბერძენ მსახიობებს?“

თამაში „ვიპოვოთ გამონაკლისი“. მასწავლებელი ჰყოფს კლასს ჯგუფებად და უჩვენებს რეპროდუქციებს, სადაც ასახულია ერთტიპური ნაწარმოებები ერთი გამონაკლისით: მაგ. რამდენიმე თანამედროვე მხატვრის ნაწარმოები და ერთი – აღორძინების ხანის ან სხვა ძველი ეპოქის მხატვრის, რამდენიმე პეიზაჟი და ერთი პორტრეტი და ა.შ. მასწავლებელი თავად ირჩევს, რა შეკითხვები დაუსვას მოსწავლეებს, მაგრამ ისინი ამ წელს გავლილი მასალის სფეროდან უნდა შეირჩეს.

თამაშის წესები: ჯგუფები პასუხობენ ერთმანეთის მიყოლებით, ისინი თითო ქულას (ვარსკვლავს, გულს, ყვავილს) იღებენ სწორ პასუხში, თუ პასუხი არასწორია, შემდეგი ჯგუფი პასუხობს იმავე კითხვას. მასწავლებელი აქცევს ყურადღებას, რომ თამაშის წესები დაცული იყოს.

პრაქტიკული აქტივობა. პრაქტიკული უნარების დემონსტრირების მიზნით მოსწავლეები ასრულებენ მცირე მოცულობის პრაქტიკულ დავალებას, მაგ. კომპოზიციას სასურველი მასალით თავისუფალ თემაზე.

რეფლექსიის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ ჩატარებულ თამაშზე და აფასებენ მიღებულ შედეგებს. მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ აზრს იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად გამოავლინეს მათ მიღებული ცოდნა და რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ეს ცოდნა კიდევ უფრო გაღრმავდეს. ასევე საუბრობენ შესრულებულ ნამუშევრებზე. მასწავლებელი მიუთითებს, თუ რა მიღწევები გამოავლინეს მათ პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლების თვალსაზრისით და რისი დაუფლება იქნება კიდევ საჭირო. მასწავლებლის საუბარი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეების მოტივაციას, იყოს დადებითი და პოზიტიური, მაგრამ ამავე დროს შეიცავდეს საქმიან რჩევებს.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეებს ვაფასებთ:

სააზროვნო კითხვებზე გაცემული პასუხების მიხედვით;

- თამაშის მსვლელობის დროს გამოვლენილი ცოდნისა და უნარების მიხედვით;
- პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესში გამოვლენილი უნარ-ჩვევების მიხედვით.

თავი III

29. საახალწლო სამზადისი

მიზნები: პრაქტიკული აქტივობების შესრულების საფუძველზე განვავითაროთ მოსწავლეთა შემოქმედებითობა, ფანტაზია და შრომითი ჩვევები, გავაღრმაოთ ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები და პრაქტიკული უნარები.

ამოცანები

მოსწავლეები სხვადასხვა მასალებისაგან ამზადებენ საახალწლო სამშვენისებსა და სათამაშოებს.

სტანდარტთან შესაბამისობა

ს.გ.დაწყ.(II).2, ს.გ.დაწყ.(II).3, ს.გ.დაწყ.(II).4.

მასალა/რესურსები მასწავლებლისთვის

სათამაშოების გამოსახულებები და შაბლონები.

მასალა მოსწავლეთათვის:

ფერადი და თეთრი ქაღალდი, მუყაო, გუაშის საღებავები და ფუნჯები, ფლომასტერები, წებო, მაკრატელი, ბრჭყვიალა მძივები. შესაძლებელია აგრეთვე მეორადი მასალების (მუყაოს კოლოფების, ძველი ჟურნალებისა და გაზეთების, ქსოვილისა და ცელოფანის ნარჩენების გამოყენება).

ტერმინები

გაკვეთილის გეგმა:

1. შესავალი საუბარი 7-8 წუთი;
2. პრაქტიკული სამუშაო 20 წუთი;
3. ნამუშევართა წარდგენა 7-8 წუთი.

გაკვეთილის მსვლელობა

გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ საახალწლო და საშობაო ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე,

შინაარსის რეალიზების ფაზა

მოსწავლეები იყოფიან წყვილებად ან მცირე ჯგუფებად. მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, თუ რისი გაკეთება სურთ, რა ახალი და უჩვეულო სამკაულები შეიძლება გაკეთდეს მეორადი მასალებისაგან და ა.შ.. შემდეგ მოსწავლეები სხვადასხვა მასალებისაგან ამზადებენ ნაძვის ხის სათამაშოებს და სამშვენისებს – ფიფქებს, ვარსკვლავებს, შეღებილ გირჩებს, რკოებს და კაკლებს, ქაღალდის ჯაჭვებს, თოვლის ბაბუებს და სხვა ფიგურებს მუყაოს ცილინდრებისა და კონუსებისაგან, პატარა ნაძვის ხეებს და ა.შ. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მუშაობის პროცესს, აკონტროლებს ბავშვების მიერ უსაფრთხოების წესების დაცვას და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება მოსწავლეებს – რჩევას აძლევს ან რაიმე სხვა სახის დახმარებას უწევს. მზა ნამუშევრებს მოსწავლეები ინახავენ სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ მუყაოს კოლოფებში, რათა შობა-ახალი წლის ზეიმისთვის საგანგებოდ მორთონ კლასი.

რეფლექსიის ფაზა

მოსწავლეები აჩვენებენ მასწავლებელსა და კლასელებს თავიანთ ნამუშევრებს და საუბრობენ იმაზე, რა გააკეთეს მათ, რისთვისაა განკუთვნილი მათი ნამუშევარი,

სად უნდა განთავსდეს იგი, რატომ მოუნდათ ამ ნივთის გაკეთება, რატომ აირჩიეს სწორედ ეს ფერები და ფორმები და ა.შ.

სასწავლო შეთავაზებები

შეინახეთ ნამუშევრები საახალწლოდ კლასის დეკორირებისთვის.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწვლეს ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია მას გამოავლინოს:

- შემოქმედებითობა და ფანტაზია სამშვენისების მოფიქრების პროცესში,
- მასალებთან აკურატული მუშაობის უნარ-ჩვევები.

47. ხალიჩა

ინტეგრირება: ისტორია, ლიტერატურა

მიზნები: გავაცნოთ მოსწავლეებს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მნიშვნელოვანი დარგი – ხალიჩა, მისი ტიპები და მხატვრული თავისებურებები, მისი გამოყენება და ასახვა სახვით ხელოვნებაში, კერძოდ, ფერწერაში, განვავითაროთ მოსწავლეთა გემოვნება და მსჯელობის უნარი, განვამტკიცოთ პრაქტიკული უნარ–ჩვევები ხალიჩის ესკიზის შექმნის საფუძველზე.

აქტივობები:

1. სხვადასხვა ქვეყნის ხალიჩების თავისებურებების შედარება (ჯგ)
2. ცნობილ მხატვართა ტილოებზე გამოსახულ ხალიჩებზე საუბარი(ინდ).
3. პრაქტიკული სამუშაო – ესკიზების შესრულება (წყვილებად.)
4. პრეზენტაცია – ნამუშევართა გამოფენა საკლასო ოთახში (ჯგუფური)

მოსწავლეთა ორგანიზება:

ინდივიდუალური, წყვილებად, ჯგუფური

დროის განაწილება:

1. შესავალი საუბარი – 3-5 წთ.
2. I აქტივობა – 10 წთ.
3. II აქტივობა – 10 წთ.
4. III აქტივობა – 20 წთ.

რესურსები:

რეპროდუქციები მოსწავლის სახელმძღვანელოდან (შესაზლებელია აგრეთვე სხვა თვალსაჩინოებების გამოყენება), სახატავი მასალა (ნებისმიერი სასურველი).

სტანდარტთან შესაბამისობა:

მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლე იცნობს დეკორატიულ-გამოყენებითი დარგის – ხალიჩის თავისებურებებს, მის სხვადასხვა სახეობებს, მისი გამოყენების სახეებსა და მნიშვნელობას სხვადასხვა ხალხებში და შეუძლია დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულება.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- იცნობს ხალიჩის დარგისათვის დამახასიათებელ მთავარ თავისებურებებსა და დამახასიათებელ ნიშნებს და შეუძლია მათზე საუბარი,
- ასრულებს ხალიჩის ესკიზს სასურველი მასალით.

გაკვეთილის სცენარი

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს დეკორატიული ხელოვნების ამ ერთ-ერთ უძველეს დარგს ადამიანის ცხოვრებაში, რისთვის გამოიყენება იგი, როგორი მნიშვნელობა ჰქონდა ხალიჩას სხვადასხვა ეპოქებში და სხვადასხვა ხალხებთან, მაგალითად, რა პრაქტიკულირორლი ჰქონდა გობელენს შუა საუკუნეების ციხე-კოშკებში, ან მომთაბარე ხალხების ცხოვრებაში.

ამის შემდეგ მასწავლებელი ათვალიერებინებს მოსწავლეებს ძლიერ განსხვავებულ ხალიჩათა ტიპებს და სთხოვს მათ, ისაუბრონ იმის შესახებ, თუ რომელი ხალიჩა რომელ კულტურას ან ხალხს შეიძლება ეკუთვნოდეს (რასაკვირველია, საუბარია არა ექსპერტულ შეფასებაზე, არამედ დაახლოებით ამოცნობაზე აშკარა სტილისტური და ტექნიკური ნიშნების მიხედვით, მაგალითად, ქართული ფარდაგისა გარჩევა როკოკოს ხანის ფრანგული ხალიჩისაგან საკმაოდ იოლად შეიძლება). მთავარია ამ შემთხვევაში ის, თუ რა

მოსაზრებებს გამოთქვამენ მოსავლეები თავიანთი ვარაუდის დასადასტურებლად, მათი მსჯელობის მიმართულება.

შემდეგ ეტაპზე მოსწავლეები ათვალიერებენ ცნობილ მხატვართა (ვერმეერის, ჰოლბაინის, მცირე ჰოლანდიელების) ნამუშევრებზე გამოსახული ხალიჩების და საუბრობენ მათ შესახებ. მასწავლებელი ესაუბრება მათ როგორც თვით სურათებზე და მათ ავტორებზე, არამედ იმ ისტორიულ და გეოგრაფიულ მომენტებზე, რომლებმაც გამოიწვია, მაგალითად, XVII საუკუნის ჰოლანდიურ სურათებზე ესოდენ დიდი რაოდენობით აღმოსავლური ხალიჩების გამოსახვაზე, ჰოლანდიელთა საზღვაოსნო მოგზაურობებსა და აღმოჩენებზე და ა.შ.

ამის შემდგომ მოსწავლეები ასრულებენ ხალიჩის ესკიზს ნებისმიერი სასურველი სახატავი საშუალებებით. პარალელურად მასწავლებელი ესაუბრება მათ ორნამენტების ტიპებზე, კოლორიტზე, ნახატის თავისებურებებზე. ნამ შევრების დასრულების შემდეგ მოსწავლეები გამოფენენ თავიათ ესკიზებს კლასში და საუბრობენ მათ შესახებ. ამის შემდეგ მასწავლებელი ინახავს მათ კლასის „ესკიზების პორტფოლიოსათვის“.

თავი IV

48. რეკლამის ხელოვნება

ინტეგრირება: ისტორია, ლიტერატურა.

მიზანი: გავაცნოთ მოსწავლეს სხვადასხვა მიმართულების ცნობილ მხატვართა შემოქმედების კავშირი რეკლამასთან. პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საფუძველზე („უორჰოლის სტილის კომპოზიცია“) განვამტკიცოთ მიღებული ცოდნა, განვავითაროთ შემოქმედებითი აზროვნება და კომპოზიციური უნარ-ჩვევები.

აქტივობები:

1. საუბარი მოდერნისა და პოსტიმპრესიონიზმის მხატვართა რეკლამასთან დაკავშირებულ ნამუშევრებზე.
2. მსჯელობა ენდი უორჰოლის ნამუშევართა შესახებ.
3. „უორჰოლის სტილის კომპოზიციის“ შესრულება (ჯგუფ).

მოსწავლეთა ორგანიზება

ინდივიდუალური, ჯგუფური.

დროის განაწილება

1. შესავალი საუბარი – 5-8 წუთი
2. პირველი აქტივობა – 8-10 წუთი
3. მეორე აქტივობა – 5-8 წუთი
4. მესამე აქტივობა – 20 წუთი

რესურსები

ილუსტრაციები მოსწავლის წიგნიდან (ან სხვა შესაფერისი ილუსტრაციები – სარეკლამო თემატიკასთან დაკავშირებული მხატვრული ნაწარმოებები, ჟურნალები, გაზეთები, პლაკატები), სახატავი ფურცლები, უბრალო (გრაფიტის) ფანქრები, საშლელი. შეიძლება აგრეთვე სხვა ნებისმიერი მასალა და იარაღები – საღებავები, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები ან სხვ. სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია კოლაჟის ან აპლიკაციის ტექნიკების გამოყენება.

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეები იცნობენ როგორც რეკლამის როლს, ასევე სახვით ხელოვნებასთან მისი კავშირის მნიშვნელობას, შეუძლიათ მასზე მსჯელობა და დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულება.

სტანდარტთან შესაბამისობა

შეფასება

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

1. იცნობს და ასახელებს მხატვრებს, რომელთა ხელოვნება დაკავშირებულია რეკლამასთან.
2. შეუძლია რეკლამის დიზაინის მოფიქრება და მისი შესრულება ჯგუფთან ერთად.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა I:

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ილუსტრაციებს მოსწავლის წიგნიდან და სთხოვს, გაიხსენონ მათ მიერ უკვე ნასწავლი მხატვრული მიმართულება – პოსტიმპრესიონიზმი და ამ მიმართულების ცნობილი წარმომადგენლის, ანრი ტულუზ-ლოტრეკის მიერ შესრულებული კაბარეების აფიშები, ან მოდერნის ხანა და იმ პერიოდის მხატვრების – ალფონს მუხას და თეოფილ სტეინლენის სარეკლამო ნამუშევრები და გამოთქვან თავიანთი აზრი იმაზე, ჰგავს თუ არა ისინი ამავე მხატვრების მიერ შექმნილ სხვა ნაწარმოებებს, იმათ, რომლებიც რეკლამასთან არ იყო დაკავშირებული.

აქტივობა II:

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს მათთვის უკვე ნაცნობ მიმდინარეობას – პოპ-არტს და მისი ერთ-ერთი წამყვანი ხელოვანის, ენდი უორჰოლის ნამუშევრებს, რომლებზეც ხშირად იყო გამოსახული უბრალო ნივთები: კოკა-კოლას ბოთლები, კონსერვები, სუპის ქილები და სხვ. და ეკითხება, თუ როგორ მიაჩნიათ მათ – თავისი დანიშნულებით ეს რეკლამის დარგს უფრო მიეკუთვნება, თუ ჩვეულებრივი ფერწერული ნაწარმოებებია, მაგალითად, ისეთივე, როგორც ტრადიციული ნატურმორტები? მუზეუმებისა და გალერეებისთვის იყო ისინი განკუთვნილი, თუ ბილბორდებზე ან ჟურნალ-გაზეთებში დასაბეჭდად? თუ მიაჩნიათ, რომ ეს ფერწერაა, მაშინ რატომ ხატავდა უორჰოლი ასე მრავალჯერ მაინც და მაინც ამ ერთსა და იმავე ნივთებს და ადამიანებს – შემთხვევით, თუ იმიტომ, რომ უბრალოდ მოსწონდა ისინი, ან იმიტომ, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნდა? თუ თვლიან, რომ მიაჩნდა, მაშინ რა მიზეზი შეიძლება ჰქონოდა ამისთვის?

ასეთი და მსგავსი კითხვებით მოსწავლეები მიგვყავს იმ დასკვნამდე, რომ შესაძლოა, პოპ-არტის მხატვრებს მიაჩნდათ, რომ როგორც ტრადიციული ნატურმორტების ნივთები ახასიათებდა მათს ეპოქას, ასევე მათ მიერ გამოსახული კოკა-კოლას ბოთლები, კონსერვები, სუპის ქილები და სხვ. ნივთები ახასიათებს ჩვენს ყოფას და ჩვენს ეპოქას.

აქტივობა III:

მასწავლებელი ჰყოფს კლასს ჯგუფებად და სთავაზობს, დაათვალიერონ მოსწავლის წიგნში მოცემული ან სხვა შესაფერისი ილუსტრაციები ან კომპიუტერული გამოსახულებები, სარეკლამო თემატიკასთან დაკავშირებული მხატვრული ნაწარმოებები, ჟურნალები, გაზეთები, პლაკატები და აირჩიონ ისეთი ნივთი, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე ხშირად გვხვდება რეკლამაში, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია და თანაც, სასურველია, რომ შერჩეულ

საგანს საინტერესო ფორმა და ფერი ჰქონდეს. ამის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ ამ ნივთის რეკლამა, რომელიც უორჰოლის ნაწარმოებების მანერით იქნება გამოსახული: ჯგუფის თითოეული წევრი სხვადასხვა ფერებში გამოსახავს ერთსა და იმავე საგანს, შემდეგ კი ნამუშევრები ერთმანეთის გვერდიგვერდ განლაგდება სტენდზე ან ფორმატზე.

შეფასება

მოსწავლის შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.

მოსწავლის აკადემიური მიღწევა ხშირად და მრავალმხრივად უნდა შეფასდეს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას.

შეფასების სახეები

სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.

განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეთა საქმიანობას ამოწმებს არა მათი მიღწევის დონის განსასჯელად და ქულების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. მასწავლებელი აკვირდება თითოეულ მოსწავლეს სწავლის პროცესში, სწავლობს მათ საჭიროებებს, რათა თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წინსვლაში. ასეთ კონსტრუქციულ სასწავლო გარემოში მოსწავლეებს არ აფერხებთ მარცხის/წარუმატებლობის შიში და ნებისმიერ შემთხვევაში მასწავლებლის რჩევისა და მხარდაჭერის იმედი აქვთ. ცოდნის დონის მიუხედავად, მოსწავლეები იძენენ ახალ ცოდნას, ამდიდრებენ გამოცდილებას და იუმჯობესებენ უნარებს.

განმავითარებელი შეფასების პროცესში უნდა ჩაერთოს მასწავლებელიც და მოსწავლეებიც. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები თავადაც უნდა ცდილობდნენ, დაადგინონ საკუთარი მოთხოვნილებები, გამოავლინონ ძლიერი და

სუსტი მხარეები, შემაფერხებელი ფაქტორები. ამგვარ პროცესებში მოსწავლეების ჩართვა თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარებს აყალიბებს და ზრდის მათ ქმედითუნარიანობასა და პასუხისმგებლობას.

მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში, მოსწავლე ფასდება საკუთარ თავთან, საკუთარ მიღწევებთან მიმართებით, რაც მას საშუალებას აძლევს, იგრძნოს წინსვლა და ირწმუნოს, რომ შეუძლია სიძნელეთა ეტაპობრივად გადალახვა.

განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა, ცოდნის ათვისების ან უნარის განვითარების ეტაპების აღმნიშვნელი დონეები (მაგ. ათვისებულია/ფლობს, ათვისების/დაუფლების პროცესშია, ასათვისებელია/დასაუფლებელია). ათვისების თუ ფლობის დონეებით შედგენილი შეფასების ან თვითშეფასების სქემები მასწავლებელსაც და მოსწავლესაც საშუალებას აძლევს, დინამიკაში დაინახოს კონკრეტული ცოდნის თუ უნარის ათვისების პროცესი.

შეფასება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. შეფასების ხერხები და საშუალებები

შეფასება სწავლების განუყოფელი ნაწილია და შემოწმების მთლიანი პროცესის შედეგს წარმოადგენს. შედეგზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების შესაბამისად, იგი უნდა ეყრდნობოდეს მოსწავლის მიერ გამოვლენილ სასწავლო შედეგებს, სადაც თეორიულ ცოდნასთან შედარებით („რა იცის მოსწავლემ") უპირატესობა ენიჭება პრაქტიკულ ცოდნას, ანუ უნარ-ჩვევებს („რა შეუძლია მისწავლეს").

სასწავლო შედეგები სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგში ფართო შესაძლებლობებს იძლევა საესესმენტო ინფორმაციის შეგროვებისათვის, რისთვისაც ამ დარგში მრავალფეროვანი ხერხები და საშუალებები არსებობს. მაგალითად:

- პერიოდული საკლასო და სასკოლო გამოფენები,
- პორტფოლიოები და პრაქტიკული სავარჯიშოების ალბომები,
- ნამუშევრები.
- მასწავლებლის წიგნაკი საინფორმაციო ჩანაწერებისათვის, სადაც აისახება ყოველი მოსწავლის მიერ განვლილი გზა.

- ტესტი. მას შეიძლება მრავალგვარი ფორმა ჰქონდეს: კითხვარი, დაუმთავრებელი წინადადებების დასრულება, კროსვორდი, ხელოვანის (ან ნამუშევრის, ეპოქის, სტილის, ქვეყნის) ამოცნობა და სხვ. (ამ ტიპის ტესტების ნიმუშები იხილე მოსწალის სახელმძღვანელოს დასკვნით ნაწილებში).
- კითხვარი.
- მსჯელობა საკუთარ და სხვათა ნამუშევრებზე.
- დისკუსია.
- პრეზენტაცია.

ეს ხერხები გვაძლევს საშუალებას შევაგროვოთ საკმარისი ინფორმაცია მოსწავლეთა შეფასებისათვის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგში და, რაც მნიშვნელოვანია, შევაფასოთ არა მარტო ერთი კონკრეტული ნამუშევარი, არამედ ავსახოთ მოსწავლის შემოქმედებითი და გონებრივი ზრდის პროცესი, გამოვავლინოთ ის სფეროები, სადაც მოსწავლე წარმატებულია ან ნაკლებადაა წარმატებული და დავსახოთ ნაკლოვანებათა დაძლევის გზები. ამერიკელი ედუკატორი მარვინ ბარტელი თავის ნამუშევრებში აღნიშნავს, რომ მასწავლებელი სისტემატურად უნდა აღნუსხავდეს მოსწავლის განვითარების პროცესს მსგავსი ტიპის შეფასების რუბრიკების მეშვეობით.

შეფასების კომპონენტები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

საშინაო და საკლასო დავალებების კომპონენტი

საშინაო დავალებების კომპონენტი

შეიძლება შეფასდეს შემდეგი დავალებების მიხედვით:

მასალის მოძიება, რეფერატი, პრაქტიკული სამუშაო.

მიმდინარე საკლასო დავალებები

შეიძლება შეფასდეს შემდეგი აქტივობების მიხედვით:

1. კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოს შესრულება ან ნამუშევრის შექმნა გარკვეულ თემაზე, რაც შეიძლება შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ორგანიზებულობა (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა);
- ტექნიკის, მასალის ფლობა;
- შემოქმედებითობა (გადაწყვეტილების დამოუკიდებვლად მიღება, საკუთარი ხელწერის, ხედვის დემონსტრირება);

- თანამშრომლობა ჯგუფური მუშაობის დროს.

2. საკუთარი ან სხვისი ნამუშევრის განხილვაში მონაწილეობა;

3. გარკვეული ეპოქის, შემოქმედის ან ხელოვნების ნაწარმოების ანალიზში ან მასზე მსჯელობაში მონაწილეობა, რაც შეიძლება შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- აქტიური მონაწილეობა
- საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოჩენა,
- სხვისი აზრის მიმართ პატივისცემის დემონსტრირება.

3. საკუთარი და სხვისი ნამუშევრების პრეზენტაცია, რაც შეიძლება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით შეფასდეს:

- სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი;
- თვალსაჩინოების და ტექნიკური საშუალებების გამოყენება,
- კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

იგი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. შემაჯამებელი კომპონენტი აფასებს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეულ შედეგებს სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით: კონკრეტული სასწავლო ერთეულის დამთავრების შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა.

შესაბამისად, შემაჯამებელი დავალება უნდა აფასებდეს საგნის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს.

შემაჯამებელი დავალებების ტიპები:

ტესტირება;

მხატვრული ნამუშევარი;

გამოფენა და სხვ.

შემაჯამებელი აქტივობის სახით გამოიყენება აგრეთვე ინტელექტუალური თამაშები და ვიქტორინები. მაგალითი:

თამაში „გამოიცანი დარგი და ჟანრი“. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნაწარმოებთა ამსახველ ვიზუალურ

მასალას და სთავაზობს მოსწავლეებს, დაასახელონ ისინი. იგებს ის, ვინც ყველაზე მეტ სწორ პასუხს გასცემს.

ამის შემდეგ მასწავლებელი ამახვილებს მოსწავლეთა ყურადღებას პორტრეტის ჟანრზე. იგი ესაუბრება მოსწავლეებს იმაზე, რომ მხატვრები ხშირად ასრულებენ საკუთარი თავის გამოსახულებებს, და ამ ჟანრს „ავტოპორტრეტი“ ეწოდება. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს შესაფერის ვიზუალურ მასალას და ესაუბრება იმაზე, თუ როგორ ხედავენ მხატვრები საკუთარ თავს, როგორი გრძნობა გვიჩნდება ჩვენ მათი დათვალიერებისას: მაგ. შარდენის ავტოპორტრეტი მუშაობის პროცესში გართულ სერიოზულ, ხანში შესულ კაცს გამოხატავს, ანტონის ვან დეიკის ავტოპორტრეტი – მდიდრულად ჩაცმულ, დახვეწილ არისტოკრატს, ლეონარდო და ვინჩის ავტოპორტრეტი – ღრმად ჩაფიქრებულ, ბრძენ მოხუცებულს, ნორმან როკველის კარიკატურა „ავტოპორტრეტი” კი ძალიან სასაცილო, მხიარულ მხატვარს. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, მათი აზრით, რა უნდა გამოიხატოს მათ ავტოპორტრეტზე, რა სათამაშოები, მუსიკალური საკრავები ან გაჯეტები უყვართ მათ, რომელი შინაური ცხოველები ჰყავთ (ან უნდათ, რომ ჰყავდეთ), როგორ ტანსაცმელს იცვამენ, როგორი ხასიათი აქვთ (მხიარული, სერიოზული) და სხვ. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, ისეთნაირად დახატონ თავიანთი ავტოპორტრეტები, რომ მაყურებელი ბევრ რამეს მიხვდეს მათ შესახებ. სასურველია, რომ ეს იყოს არა უბრალოდ ფიგურა, არამედ, მაგალითად, „მე და ჩემი ძაღლი”, ან „მე ვთამაშობ ბურთს”, ამ „მე ვუკრავ სალამურზე“ და ა.შ.

განვითარების შეფასების რუბრიკა (სახვითი ხელოვნება)

• კატეგორია	მასწავლებელი: _____ მოსწავლე: _____ აღწერა	კომენტარი		
		კარგი	საშუალო	საჭიროებს გაუმჯობესებას
ზრდა, სიახლე	როგორ შესაბამისობაშია ეს ნამუშევარი მოსწავლის წინა ნამუშევართან?	.	.	.

და გაუმჯობესება	ჩანს თუ არა მასში მეტი გრძნობა და გამომსახველობა?	.	.	.
	ჩანს თუ არა მასში მეტი ნააზრევი?	.	.	.
	ჩანს თუ არა მასში მეტი ოსტატობა?	.	.	.
შემოქმედებითობა და მოულოდნელი აღმოჩენები	რამდენად ორიგინალური, ინოვაციური და თამამია ნამუშევარი?	.	.	.
	ჩანს თუ არა ზრდა ან რაიმე ცვლილება წინა ნამუშევართან შედარებით?	.	.	.
დავალების შესრულება	რამდენად კარგადაა ნამუშევარში გადაჭრილი დავალებაში მოცემული პრობლემა?	.	.	.
	გამოწვეულია თუ არა დავალებაში მოცემული პირობებიდან გადახვევა სერიოზული მიზეზებით?	.	.	.
გულმოდგინება	ნამუშევრის სტილი სწორად და გააზრებულადაა შერჩეული და მისი შესრულება სათანადო დონეზეა	.	.	.
	არ ჩქარობს ზედმეტად ნამუშევრის დასრულებას, მაგრამ ყურადღებას აქცევს მის ხარისხს.	.	.	.
თანამშრომლობა	მოსწავლე თანამშრომლობს კლასელებთან და ყურადღებიანია სხვების მიმართ დისკუსიების მსვლელობისას, ეხმარება მეგობ-რებს, მაგრამ არ ასრულებს სამუ-შაოს მათ მაგივრად.	.	.	.

	უსვამს თუ არა მოსწავლე მეგობრებს კარგ შეკითხვებს?	.	.	.
სამუშაო ჩვევები	ბოლომდე ასრულებს თუ არა სამუშაოს?	.	.	.
	ესაუბრება თუ არა თანაკლასე-ლებს სამუშაოს შესახებ და არა სხვა თემებზე?	.	.	.
ომპოზიცია, ხელოვნების პრინციპები და ელემენტები	ეძებს თუ არა ხელოვნების პრინციპების გამოყენების და კომპოზიციური გადაწყვეტის სხვადასხვა გზებს ხელოვნების ელემენტების მაქსიმალური გამომსახველობის მისაღწევად?	.	.	.
	ცდილობს თუ არა ერთიანობისა და მრავალფეროვნების მიღწევას დასამახსოვრებელი ნამუშევრის შექმნის მიზნით?	.	.	.

სახვითი ხელოვნების სწავლებისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწორ შეფასებას. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც შეფასების დროს ყურადღება ექცევა მხოლოდ მზა ნამუშევრის თვისებებს, განსაკუთრებით – გამოსახვის რეალისტურ მანერას და ყურადღების მიღმა რჩება ისეთი მნიშვნელოვანი მომენტები, როგორებიცაა თვით მუშაობის პროცესი, ძალისხმევა, ჩართულობა და ა.შ. არადა, სწორედ შემოქმედებითი პროცესი აძლევს მოსწავლეს საშუალებას არა მარტო დახვეწოს მოტორული უნარები და დაეუფლოს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, არამედ ავარჯიშოს გონება ახალი, შემოქმედებითი იდეების გენერირებასა და მათი განხორციელების საუკეთესო გზების მოძიებაში. მაგალითად, საუკეთესო კომპოზიციური გადაწყვეტილების ძიება ხელს უწყობს აზროვნებისა და პრობლემათა გადაჭრის უნარების განვითარებას, ნამუშევარში საკუთარი გრძნობების და იდეების გამოვლენის გზების ძიება ხელს უწყობს თვითგამოხატვის უნარის ჩამოყალიბებას და ა.შ.

ლ. ჰეტლანდი[3] წიგნში „მხატვრული აზროვნება“ (2007) ასახელებს „გონების რვა ჩვევას“, რომელთა ჩამოყალიბებასაც ხელს უწყობს სახვითი ხელოვნების სწავლა და რომლებიც მას შეფასების მთავარ მომენტებად მიაჩნია: 1)ოსტატობის განვითარება, 2)გატაცება და მონდომება, 3)წარმოსახვა, 4)გამომხატველობა, 5)დაკვირვება, 6)ასახვა, 7)მოძიება და კვლევა, 8)ხელოვნების სამყაროს გაგება.

პროგრამაში მოყვანილი შეფასების რუბრიკების გარდა, მასწავლებელმა უნდა დასახოს და გამოიყენოს აგრეთვე უფრო კონკრეტული ტიპის რუბრიკები, რომლებიც კონკრეტულ საკითხთან ან დავალებასთან იქნება დაკავშირებული. ასეთია, მაგალითად, რუბრიკა, რომელშიც დაწვრილებითაა მოცემული მოსწავლის შემოქმედებითი პროცესის შეფასების კრიტერიუმები[4]:

შემოქმედებითი პროცესის შეფასების რუბრიკის ნიმუში

კრიტერიუმები	**დონე 4**	**დონე 3**	**დონე 2**	**დონე 1**
იკვლევს და ავითარებს იდეებს	მუდმივად იკვლევს, სთავაზობს და ავითარებს ორიგინალურ იდეებს ინოვაციური გზით.	ხშირად იკვლევს ან სთავაზობს იდეებს და შეუძლია განავითაროს იდეა საწყისი ფორმის შემდგომ.	ზოგჯერ იკვლევს ან სთავაზობს იდეებს, მაგრამ უჭირს განავითაროს იდეა საწყისი ფორმის შემდგომ .	იშვიათად სთავაზობს იდეას ან ავითარებს იდეას საწყისი ფორმის შემდგომ.
ავლენს ტექნიკურ ოსტატობას და მასალის/იარაღების გამოყენების სტრატეგიებს	უმეტესად იყენებს შესაფერის და გამომსახველ ტექნიკურ საშუალებებს	რეგულარულად მუშაობს უნარებისა და ტექნიკების გასაუმჯობესებლად.	ბევრ სფეროში ჩანს ტექნიკის ფლობისა და უნარების ნაკლებობა.	უნარებისა და ტექნიკის ფლობის დაბალი დონე.
ავლენს პრობლემათა გადაჭრის უნარს	ხშირად ავლენს პრობლემათა ეფექტიანად გადაჭრის უნარს, სთავაზობს ალტერნატივებს ან ინოვაციურ გადაწყვეტილებებს.	პრობლემათა ეფექტიანად გადაჭრის საშუალო დონის უნარი. ზოგჯერ სთავაზობს გადაწყვეტილებებს.	პრობლემათა ეფექტიანად გადაჭრის მინიმალური უნარი. უჭირს მრავალი პრობლემის გადაწყვეტა.	პრობლემათა გადაჭრის არაეფექტიანი უნარი. ყოველთვის ეყრდნობა სხვებს პრობლემის გადაჭრის საკითხში.
მუშაობს დამოუკიდებლად	თვითმოტივირებულია და მუშაობს	საჭიროებს ნაწილობრივ მითითე-	იშვიათად მუშაობს	არასოდეს მუშაობს დამოუკიდებ-

[3] Lois Hetland [1] and coauthors, ***Studio Thinking*** (2007)
[4] ***Student Evaluation: A Teacher Handbook***, Saskatchewan Education, 1991 .

	დამოუიდებლად უმაღლეს დონეზე.	ბას, მაგრამ მუშაობს დამოუკიდებლად.	დამოუკიდებლად.	ლად; საჭიროებს მუდმივ ხელმძღვანელობას და დახმარებას.
ავლენს ორგანიზებულობის უნარს	უმეტესწილად ავლენს უმაღლესი დონის ორგანიზებულობას.	ძირითადად ორგანიზებულია, მაგრამ ზოგჯერ ავლენს არაორგანიზებულობას.	იშვიათად არის ორგანიზებული, მაგრამ პერიოდულად ცდილობს ორგანიზებულობის გამოვლენას.	არ ცდილობს, იყოს ორგანიზებული და ყოველთვის საჭიროებს შეხსენებას და ხელმძღვანელობას.
თანამშრომლობს სხვებთან ჯგუფის მიზნების მისაღწევად	ავლენს ლიდერობის მუდმივ უნარს და საჭიროების შემთხვევაში იყენებს მას.	უმეტეს შემთხვევაში სთავაზობს იდეებს და თანამშრომლობს სხვებთან.	ჯგუფური მუშაობის დროს იშვიათად სთავაზობს იდეებს ან გადაწყვეტილებებს.	არ მონაწილეობს ჯგუფურ მუშაობაში.
იყენებს რეფლექსური აზროვნების უნარს	შემოქმედებითი პროცესის დროს ყოველთვის იყენებს რეფლექსურ აზროვნებას.	შემოქმედებითი პროცესის დროს ზოგჯერ იყენებს რეფლექსურ აზროვნებას.	შემოქმედებითი პროცესის დროს იშვიათად იყენებს რეფლექსურ აზროვნებას.	შემოქმედებითი პროცესის დროს არ იყენებს რეფლექსურ აზროვნებას.

რესურსები

კლარკი, ჯ. „ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია“,

ყიფშიძე, ა. „ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი“, 1985.

ამირანაშვილი, შ. „ქართული ხელოვნების ისტორია“,

ბერიძე, ვ. „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“.

Joy Evans, Tanya Skelton. *How to Teach Art to Children, Grades 1-6* Teacher ed. Edition

Helen D. Hume, *The Art Teacher's Book of Lists,* Jossey-Bas, 2010

Dewey, John. ***How we think***. Lexington, MA: D.C. Heath & Co., (1910).

Dewey, John, Dewey, Evelyn. *Schools of Tomorrow,* Dutton, 1962

Alan Crawford, Wendy Saul, Samuel Mathewsand Jim MaKinster, ***Teaching And Learning Strategies For The Thinking Classroom,*** *Publisher:* International Debate Education Association

Anderson, Lorin W. & David R. Krathwohl. A *Taxonomy for Learning, Teaching and Assessing*. Addison Wesley Longman, Inc., 2001.

Bean, J. *Engaging ideas: The Professor's Guide to Integrating Writing, Critical Thinking and Active Learning in the Classroom*. San Fracinsco: Jossey-Bass, 1996.

STEEL, J. L. The Reading and Writing for Critical Thinking Project: A Framework for School Change. In D. KLOOSTER, J. STEEL, & P. BLOEM (Eds.). Ideas Without Boundaries: International Reading Association. 2001.

Educational Reform through Reading, Writing and Critical Thinking. International Reading Association. 2001.

Bloom, Benjamin S. *Taxonomy of Educational Objectives. The Classification of Educational Goals. Handbook I: Cognitive domain*. 1. New York : David Mc Kay Company, Inc., 1956.

Braus, J. Wood, D. *Environmental education in the schools: creating a program that works!* [1994] North American Association for Environmental Education (USA)

სასარგებლი ელექტრონული საიტების მისამართები:

http://www.artlex.com

http://www.artcyclopedia.com

http://www.artchive.com/ftp_site.htm

http://www.theteachersguide.com/Artlessonplans.html

http://www.metmuseum.org/

http://www.getty.edu/education/teachers/building_lessons/guide.html

http://www.drawingandpaintinglessons.com/

http://www.drawinghowtodraw.com/directoryhome.html

http://www.scholastic.com/teachers/collection/lesson-planning

http://resources.opened.io/plan-lessons/

ვიდეოგაკვეთილების ელექტრონული მისამართები:

https://www.youtube.com/watch?v=rCXgJzq-NxA&feature=share

https://www.youtube.com/watch?v=m1OPt40eKVI&feature=share

https://www.youtube.com/watch?v=09xupPMNY3g

https://www.youtube.com/watch?v=IGfTgRz79CE&feature=share

https://www.youtube.com/watch?v=p4Uz0wwCdqE&feature=share

https://www.youtube.com/watch?v=dnRFuxRI5Gw

https://www.youtube.com/watch?v=IQVkZDkgI3A

https://www.youtube.com/watch?v=MuUxqYs63Is

https://www.youtube.com/watch?v=MuUxqYs63Is

https://www.youtube.com/watch?v=vDnGuSivCQc

https://www.youtube.com/watch?v=SwETCuogDDc

ძირითადი ტერმინები:

ხელოვნების დარგები და სახეობები: სახვითი ხელოვნება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, კინო, თეატრი, ლიტერატურა, მუსიკა, ქორეოგრაფია, არქიტექტურა.

სახვითი (პლასტიკური) ხელოვნების დარგები:

ფერწერა – დარგი, სადაც გამოსახულება საღებავის მეშვეობით იქმნება.

გრაფიკა – დარგი, რომელშიც წამყვანი მნიშვნელობა ნახატს ენიჭება (მაგ., ფანქრით, ტუშით, ნახშირით და ა.შ.)

ქანდაკება – სხვადასხვა მასალისაგან გამოსახულების ძერწვისა და კვეთის ხელოვნება;

არქიტექტურა – მშენებლობის ხელოვნება

სახვითი (პლასტიკური) ხელოვნების ჟანრები:

პორტრეტი – ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის გამოისახულება.

პეიზაჟი (ანუ ლანდშაფტი) – სურათი, რომელზეც ბუნების ან ქალაქის ხედია გამოსახული.

ნატურმორტი – ფრანგ. „უსულო ბუნება', ანუ ნივთების გამომსახველი ჟანრი.

ყოფითი ჟანრი – ყოველდღიური ყოფის ამსახველი ჟანრი.

ისტორიული ჟანრი – ისტორიული პირებისა და მოვლენების ამსახველი ჟანრი.

რელიგიური ჟანრი – რელიგიური სიუჟეტებისა და პერსონაჟების ამსახველი ჟანრი.

მითოლოგიური ჟანრი – მითოლოგიური სიუჟეტებისა და პერსონაჟების ამსახველი ჟანრი.

ანიმალისტური ჟანრი – ცხოველების ამსახველი ჟანრი.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგები: ყველა დარგი, რომელიც ქმნის საყოფაცხორებო დანიშნულების ნაკეთობებს – ავეჯს, ქსოვილებს, ჭურჭელს, შრომის იარაღებს, ტანსაცმელს, სხვადასხვა სახის მოსართავებს და სხვ.

სახვითი ხელოვნების ძირითადი პრინციპები: მოძრაობა, წონასწორობა, რიტმი, კონტრასტი, ჰარმონია, ერთიანობა, მრავალფეროვნება, სიმეტრია/ასიმეტრია.

სახვითი ხელოვნების ელემენტები: ხაზი, ფერი, ფორმა, მოცულობა, სივრცე, შუქ-ჩრდილი, ფაქტურა.

გამოსახვის საშუალებები: ხაზი, შტრიხი, ლაქა, მონასმი და სხვ.

დანართი
ხელოვნების ლექსიკონი

აბსტრაქციონიზმი (ლათ. „Abstractus" – განყენებული) - XXს. მხატვრული მიმდინარეობა, უსაგნო ხელოვნება, რომლის ნაწარმოებებზე არ გამოისახება რაიმე კონკრეტული ობიექტები (მაგ., ადამიანი, ხეები, სახლები და ა.შ.). აბსტრაქციონიზმი უარყოფს სამყაროსა და ადამიანის ზუსტად გამოსახვის პრინციპს – იგი არ გამოსახავს საგნებს ისე, როგორც ისინი სინამდვილეში წარმოგვიდგება და როგორც მათ თვალი ხედავს.

ავტოპორტრეტი – ხელოვანის მიერ შექმნილი თავისი გამოსახულება.

ათენა – ბერძნულ მითოლოგიაში: სამართლიანი ომისა და სიბრძნის ქალღმერთი.

აკროპოლისი - მაღლობზე აშენებული ქალაქის ცენტრალური ნაწილი.

ალეგორია – გამოსახულება, რომელიც რაიმე სხვა, მნიშვნელოვან მოვლენას ან იდეას განასახიერებს.

ამფითეატრი – ძველ რომში: გლადიატორთა ბრძოლებისა და სხვა სანახაობე-ბისათვის განკუთვნილი ოვალური, გადაუხურავი შენობა.

ანტიკური ხელოვნება – ძვ. საბერძნეთისა და რომის ხელოვნება.

ანუბისი – ეგვიპტურ მითოლოგიაში: სულების მფარველი ღვთაება.

აპოლონი – ბერძნულ მითოლოგიაში: ხელოვნებისა და სინათლის ღმერთი.

არქიტექტურა – შენობის დაპროექტების და აგების ხელოვნება.

ახვლედიანი ელენე – XX ს-ის ქართველი მხატვარი.

აქსესუარი – დამატებითი ნივთი (მაგ. სამკაული, ჩანთა და ა.შ.).

ბაზილიკა – გრძელი მართკუთხა შენობა, რომლის შუა, ამაღლებული ნაწილი, ანუ ცენტრალური ნავი, სვეტების რიგით გამიყოფა გვერდითი ნავებისაგან.

ბარბალე - ქრისტიანობამდელ საქართველოში - მზის ქალღმერთი,

ბაროკო (იტალ. „barocco" – „უცნაური") – XVI - XVIIსს-ში ევროპის რიგ ქვეყნებში გავრცელებული ეფექტური, დინამიკური და ემოციური სტილი.

ბოტიჩელი სანდრო – XV-XVIსს-ის იტალიელი მხატვარი.

ბრიგიდი - ძველი კელტების მითოლოგიაში დაბადების, შთაგონების და პოეზიის ქალღმერთი.

ბუშე ფრანსუა – XVIIIს-ის ფრანგი მხატვარი, როკოკოს წარმომადგენელი.

გაბაშვილი იოსებ – XX ს-ის ქართველი მხატვარი.

გამოყენებითი ქანდაკება - მცირე ზომის ქანდაკება, რომლითაც ნივთებს ამკობენ.

გამოყენებითი ხელოვნება – ხელოვნების დარგი, რომელიც მოიცავს ხელოვანთა მიერ შექმნილი ნივთების (ჭურჭლის, ავეჯის, ტანსაცმლის და სხვ.) მრავალგვარობას.

გერბი – განმასხვავებელი ნიშანი, ემბლემა.

გეგმა - არქიტექტურაში: ნახაზი, რომელიც ზედხედს ასახავს.

გობელენი – გლუვი ხალიჩა გამოსახულებებით.

გოცოლი ბენოცო — XVს-ის იტალიელი მხატვარი.

გრაგნილი - გრძელ, ვიწრო ფურცელზე შესრულებული ნაწერი ან ნახატი. გრავიურა – სურათი, რომელიც რაიმე ფირფიტაზე (მაგ., ხეზე ან ლითონზე) იკვეთება და შემდეგ იბეჭდება.

გრაფიკა – ხელოვნების დარგი, რომელშიც წამყვანი მნიშვნელობა ნახატს ენიჭება (მაგ., ფანქრით, ტუშით, ნახშირით და ა.შ.)

დავიდი ჟაკ ლუი – XVIII-XIXსს-ის ფრანგი მხატვარი, ნეოკლასიციზმის წარმომადგენელი.

დაზგური სურათი – სახატავ დაზგაზე, ანუ მოლბერტზე შექმნილი შედარებით მცირე ზომის სურათი, რომელიც, (მაგ., ფრესკისაგან ან მოზაიკისაგან განსხვავებით,) ნებისმიერ შენობაში შეიძლება გამოიფინოს.

დელაკრუა ეჟენ – XIX ს-ის ფრანგი მხატვარი, რომანტიზმის დამაარსებელი.

დეტალი – მთელის ნაწილი, ფრაგმენტი.

დივალი („სინათლის სხივები") - ინდური ახალი წელი.

დიზაინი – დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგი, რომელიც ნივთიერი გარემოს მხატვრულ სახეს ქმნის.

დიონისე – ბერძნულ მითოლოგიაში მევენახეობისა და ღვინის ღმერთი.

დონჟონი - ციხე-დარბაზის მთავარი კოშკი.

დრაკონი - ზღაპრული მფრინავი და ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული, რომელიც ჩინურ მითოლოგიაში კეთილი ღვთაება იყო.

ესკიზი ანუ ჩანახატი – სწრაფი მოსამზადებელი ნახატი.

ესტამპი (ფრ. estampe) – გრაფიკული ნაწარმოები, ანაბეჭდი.

ექსპონატი - სამუზეუმო ნივთი.

ექსტერიერი - შენობის ხედი გარედან.

ვან გოგი ვინსენტ - XIX-XXსს. ჰოლანდიელი მხატვარი, პოსტიმპრესიონიზმის წარმომადგენელი.

ვან დეიკი ანტონის — XVIIს-ის ფლანდრიელი მხატვარი.

ვან დერ ნეერი არტ – XVIIს-ის ჰოლანდიელი მხატვარი, პეიზაჟისტი.

ვან ეიკი იან – XVს-ის ნიდერლანდელი მხატვარი

ვაზარელი ვიქტორ - XXს-ის საფრანგეთში მოღვაწე უნგრელი მხატვარი, ოპ-არტის დამაარსებელი.

ველასკესი დიეგო – XVIIს-ის ესპანელი მხატვარი.

ვიზაჟი (ფრანგ. visage –სახე) – იგივე მაკიაჟი, სახის მხატვრული გაფორმების ხელოვნება.

ვიტრაჟი –- ფანჯრის ჩარჩოში ჩასმული ფერადი მინის ნაჭრებისაგან შედგენილი სურათი.

ზევკსისი – ძვ. წ. V-IV სს. ბერძენი მხატვარი.

ზევსი – ელინთა მთავარი ღმერთი.

ზიკურათი – საფეხუროვანი საკულტო კოშკი შუამდინარეთში.

თავშეყრის წერტილი – წარმოსახვითი წერტილი ჰორიზონტის ხაზზე, სადაც პერალელური ხაზები თითქოს თავს იყრის.

ილუსტრაცია (ლათ. „illustratio") - ტექსტის დასურათება

იმპრესიონიზმი (ფრანგ. „Impression" – შთაბეჭდილება) - XIX ს. მეორე ნახ. მხატვრული მიმდინარეობა.

იმპრესიონისტები. – იმპრესიონიზმის მიმდევრები: ედუარდ მანე, ედგარ დეგა, კლოდ მონე, ოგიუსტ რენუარი, ბერტა მორიზო, ალფრედ სისლეი, კამილ პისარო, მერი კესეტი და სხვ.

ინტენსიური ფერები - მკვეთრი, კაშკაშა ფერები.

ინტერიერი - შენობის შიგა ნაწილი.

იშთარი – სიყვარულისა და ომის ქალღმერთი შუამდინარეთში.

კაკაბაძე დავით - XX. ქართველი მხატვარი.

კალდერი ალექსანდერ – XXს-ის ამერიკელი ხელოვანი, კინეტიკური ქანდაკების (მობილების) გამომგონებელი.

კალფი ვილემ – XVIIს-ის ჰოლანდიელი მხატვარი-ნატურმორტისტი.

კანდინსკი ვასილი – უმეტესად გერმანიაში მოღვაწე რუსი მხატვარი.(XXს.) აბსტრაქციონიზმის ერთ-ერთი დამაარსებელი.

კანოპი – მუმიფიცირებული ორგანოების შესანახი ჭურჭელი ძველ ეგვიპტეში.

კაპელა – ევროპულ არქიტექტურაში: პატარა სამლოცველო.

კატაკომბები - მიწისქვეშა დერეფნები ძველ რომში, რომლებსაც პირველი ქრისტიანები თავყრილობებისთვის იყენებდნენ.

კარავაჯო – XVI - XVIIსს-თა მიჯნის იტალიელი მხატვარი.

კარაჩი ანიბალე – XVIს-ის ბოლოს იტალიელი მხატვარი.

კერამიკა - თიხის გამომწვარი ნაკეთობები.

კიბელე - ნაყოფიერების ქალღმერთი ძველ რომში.

კლასიციზმი – მხატვრული მიმდინარეობა XVIIს-ში, რომლის მიმდევრები იდეალად კლასიკურ ანტიკურ ხელოვნებას მიიჩნევდნენ.

კოლიზეუმი (კოლოსეუმი) – ახ. წელთ. Iს-ში აგებული უზარმაზარი ამფითეატრი რომში.

კოლორიტი (ლათ. color – ფერი, საღებავი) – ფერწერაში: ნაწარმოებში გამოყენებული ფერების, ელფერების ერთიანობა და ურთიერთშეხამება.

კოდექსი (ლათ. codex – წიგნი) – წიგნის ერთ-ერთი ფორმა: ერთმანეთზე დაწყობილი, შუაში გადაკეცილი და დამაგრებული ფურცლები.

კოლორიტი - მხატვრულ ნაწარმოებში გამოყენებულ ფერთა ერთიანობა და შეხამება.

კომპოზიცია – ნაწარმოების სტრუქტურა, აგებულება, მისი ელემენტების განლაგება და ურთიერთკავშირი.

კონტური – საგნის მოხაზულობა.

კრომლეხი – ქვის კოჭებით შეერთებული სვეტებისაგან შედგენილი წრიული მეგალითური ნაგებობა.

კუბიზმი – მიმართულება XXს-ის ხელოვნებაში, რომელიც საგნებს გეომეტრი-ული ფორმების სახით გამოსახავს.

ლეონარდო და ვინჩი – აღორძინების ხანის (XV-XVIსს) ფლორენციელი ხელოვანი და მეცნიერი.

ლიხტენსტაინი როი – XXს-ის ამერიკელი მხატვარი, პოპ-არტის წარმომადგე-ნელი.

ლორენი კლოდ – XVIIს-ის ფრანგი მხატვარი, კლასიციზმის წარმომადგენელი, პეიზაჟისტი.

მაზაჩო ტომაზო – XVს-ის იტალიელი მხატვარი.

მანტენია ანდრეა – XVს-ის იტალიელი მხატვარი.

მარდუქი – ბაბილონელთა მთავარი ღმერთი.

მარინა – ზღვის პეიზაჟი.

მარიამ მაგდალინელი - ქრისტეს მიმდევარი, მენელსაცხებლე დედა

მატისი ანრი - XXს. ფრანგი მხატვარი, ფოვიზმის მამამთავარი.

მეგალითები (ბერძნ. megas - დიდი და lithos - ქვა) – უზარმაზარი ქვებისაგან აღმართული უძველესი არქიტექტურული ძეგლები.

მედიჩის ოჯახი – აღორძინების ხანაში: ფლორენციის ფაქტობრივი მმართველები და ხელოვნების მფარველები.

მეორადი, ანუ შედგენილი ფერები: – მწვანე, ნარინჯისფერი და იისფერი.

მეჩეთი – მაჰმადიანური ტაძარი

მონუმენტური ქანდაკება - დიდი ქანდაკება, რომელიც რაიმე მნიშვნელოვან იდეას გამოხატავს.

მინიატურა – სახვით ხელოვნებაში: პატარა სურათი.

მირო, ხუან – XX ს-ის ესპანელი მხატვარი, სიურეალიზმის წარმომადგენელი.

მიუზიკლი – თეატრალური ჟანრი, სადაც დიდ როლს ასრულებს მუსიკა, ცეკვა და სიმღერა.

მიქელანჯელო (მიქელანჯელო ბუონაროტი) – აღორძინების ხანის დიდი იტალიელი მოქანდაკე, ფერმწერი, არქიტექტორი და პოეტი.

მოგვები – ბიბლიის მიხედვით, აღმოსავლეთის ბრძენი მეფეები.

მოდელიერი – ხელოვანი, რომელიც ტანსაცმლის დიზაინს ქმნის.

მოზაიკა – მყარი მასალის ნატეხებისგან შედგენილი სურათი.

მონოგრამა – ასოებისგან შედგენილი ნიშანი.

მობილი, ანუ კინეტიკური ქანდაკება – ჩამოკიდებული და გაწონასწორებული მოძრავი ფორმებისაგან შემდგარი კონსტრუქცია.

მუზა – ბერძნულ მითოლოგიიაში: ხელოვნების მფარველი ღვთაება.

ნავრუზი – აღმოსავლური ახალი წელი.

ნატურმორტი – „უსულო ბუნება", ნივთების გამომსახველი ჟანრი.

ნიკე – გამარჯვების ქალღმერთი ძველ საბერძნეთში.

ნეოკლასიციზმი – XVIIIს-ის ბოლოს და XIXს-ის I ნახ. მხატვრული მიმდინარეობა, რომელიც ანტიკური და კლასიცისტური (XVIIს) ხელოვნების სტილს და იდეებს ეყრდნობა.

ოზირისი – ეგვიპტურ მითოლოგიაში: საიქიოს მბრძანებელი.

ოპ-არტი – „ოპტიკურიხელოვნება“, XX ს-ის მხატვრული მიმდინარეობა

ოპტიკური ილუზია - მხედველობითი შევდომა, „თვალის მოტყუება".

ორიგინალი (ლათ. Originalis) - ხელოვანის საკუთარი ხელით შესრულებული ნამუშევრის დედანი.

ორნამენტი - მხატვრული ან სკულპტურული სამკაული, რომელიც რაიმე გამოსახულების რიტმული გამეორებით იქმნება.

ორგანული ფორმები – არაგეომეტრიული, უსწორმასწორო, თავისუფალი ფორმები, ან ისეთი ფორმები, როგორიც ბუნებაში გვხვდება.

პაჟი – შუა საუკუნეებში: კეთილშობილი გვარის ყმაწვილი, რაინდის მხლებელი. პარაზიუსი - ძვ. წ. V-IV სს. ბერძენი მხატვარი.

პართენონი, „უფრთო ნიკეს" ტაძარი, ერეჰთეიონი – ათენის აკროპოლისზე აღმართული ტაძრები.

პაპირუსი – მცენარე, რომლისგანაც ეგვიპტელები საწერ ფურცლებს ამზადებდნენ.

პეიზაჟი, ანუ ლანდშაფტი – სურათი, რომელზეც ბუნების ან ქალაქის ხედია გამოსახული.

პერსპექტივა (ლათ. „perspicio" – „ნათლად ვხედავ") – სიბრტყეზე სიღრმისა და მოცულობის შთაბეჭდილების შექმნის წესები.

პიკასო პაბლო – XXს-ის საფრანგეთში მოღვაწე ესპანელი მხატვარი.

პირამიდა – ფარაონის აკლდამა ძველ ეგვიპტეში.

პირობითი მასშტაბი - მთავარი ფიგურების გამოყოფა დიდი ზომის მეშვეობით.

პოლოკი ჯეკსონ - XXს. ამერიკელი მხატვარი-აბსტრაქციონისტი.

პოპ-არტი - „პოპულარული ხელოვნება". XXს-ის მხატვრული მიმდინარეობა.

პორტრეტი – ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის გამოსახულება.

პროპორცია (ლათ. პროპორტიო) – ნაწილებს შორის თანაფარდობა.

პროფილი – გვერდიდან გადმოცემული გამოსახულება.

პოსტიმპრესიონიზმი - XIX ს-ის ბოლოს-XX საუკუნის დასაწყისის მხატვრული მიმდინარეობა.

პოლ სეზანი – XIX-XX სს-თა მიჯნის ფრანგი მხატვარი, პოსტიმპრესიონიზმის წარმომადგენელი.

პუსენი ნიკოლა – XVIIს-ის ფრანგი მხატვარი, კლასიციზმის წარმომადგენელი.

ჟანრი (ფრანგ. genre – გვარი) – ხელოვნების სახეობა. სახვით ხელოვნებაში ჟანრები იყოფა გამოსახვის საგნის მიხედვით (მაგ., ნატურმორტი, პეიზაჟი და ა.შ.).

რაილი ბრიდჯით – XX ს-ის ბრიტანელი მხატვარი, ოპ-არტის წარმომადგენელი.

რესტავრაცია - დაზიანებული ექსპონატების აღდგენა.

„რამაიანა" - ძველინდური პოემა

რანგოლი - ინდური საახალწლო ორნამენტები.

რაფაელი (რაფაელო სანტი) – XV-XVIსს.-ის იტალიელი მხატვარი.

რეა - ბერძნულ მითოლოგიაში: ღმერთების დედა, კრონოსის მეუღლე.

რეალისტური ხელოვნება – ნაწარმოებები, რომლებიც ასახავს სამყაროს და ადამიანს ბუნებრივად, სინამდვილის შესაბამისად, ისე, როგორც მას ადამიანი ხედავს.

რეკონსტრუქცია – სახვით ხელოვნებაში: ნაწარმოების პირვანდელი სახის გამოსახვა, აღდგენა.

რელიეფი - სიბრტყეზე გამოქანდაკებული გამოსახულება.

რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი – XVIIს-ის ჰოლანდიელი მხატვარი.

რენესანსი (ფრანგ.) - აღორძინება, კულტურის აყვავების ხანა ევროპაში. ჩაისახა იტალიაში, შემდეგ გავრცელდა ევროპის სხვა ქვეყნებში. ძირითადად მოიცავს XV-XVIსს-ებს.

რიტმი - ხელოვნებაში: რაიმე ელემენტის პერიოდული მონაცვლეობა.

როკოკო – XVIIIს-ის მხატვრული მიმდინარეობა, რომელიც მოხდენილი სტილითა და მხიარული ხასიათით გამოირჩეოდა.

რომანტიზმი – XVIIIს-ის ბოლოსა და XIXს-ის I ნახ. მხატვრული მიმდინარეობა, რომელიც ამაღლებული, ემოციური და მგზნებარე სულით ხასიათდებოდა.

რუბენსი პეტერ პაულ – XVIIს-ის ფლანდრიელი მხატვარი.

სატრიუმფო თაღი – გამარჯვების ზეიმისათვის (ტრიუმფისათვის) განკუთვნილი ნაგებობა.

სათოფური - ციხე-კოშკის კედელში დატანებული პატარა სარკმელი.

სარკოფაგი – ქვის ან ხის სამარხი.

სილუეტი – ფიგურის ან საგნის სიბრტყობრივი, ერთი ფერით შესრულებული გამოსახულება.

სიმბოლო – გამოსახულება ან საგანი, რომელიც პირობითად განასახიერებს რაიმე ცნებას ან მოვლენას (მაგ. თეთრი შროშანა სიწმინდის სიმბოლოდ ითვლებოდა, წითელი ვარდი – სიყვარულის სიმბოლოდ და ა.შ.)

სიუზერენი – შუა საუკუნეებში: სხვა რაინდებზე მაღალი მდგომარეობის მქონე პირი.

სიუჟეტი – მხატვრულ ნაწარმოებში ასახული ამბავი, შინაარსი.

სკრიპტორიუმი – წიგნის სახელოსნო შუა საუკუნეებში.

სკულპტურა (ლათ. „sculpto" – ვკვეთ) – ქანდაკება, სახვითი ხელოვნების დარგი.

სტატუეტი - პატარა ქანდაკება.

სურბარანი ფრანსისკო – XVIIს-ის ესპანელი მხატვარი.

„სფუმატო" – ფერწერაში: კონტურების შერბილება შუქ-ჩრდილით.

ტიბერიუსი - რომის იმპერატორი ახ. წ. I ს.

ტიციანი – XV-XVI სს. ვენეციელი მხატვარი.

ტოტემი –- ცხოველი, რომელიც ტომის წინაპრად მიაჩნდათ.

უკანა პლანი – სურათის ის ნაწილი, რომელიც ყველაზე შორს გვეჩვენება.

უორჰოლი ენდი – XXს-ის ამერიკელი მხატვარი, პოპ-არტის წარმომადგენელი.

უჩელო პაოლო – XVს-ის ფლორენციელი მხატვარი.

უშებტი – მსახურთა ამსახველი თოჯინები, რომლებსაც ეგვიპტელები სამარხებში აწყობდნენ.

ფასადი - შენობის ერთ-ერთი გარეთა მხარე.

ფაქტურა (ლათ. factura – დამუშავება) – ზედაპირთა თვისებების გადმოცემა. ფერწერა – ხელოვნების დარგი, სადაც გამოსახულება საღებავის მეშვეობით იქმნება.

ფიდიასი – ძვ წ.-ით Vს-ის ბერძენი მოქანდაკე.

ფოვიზმი (ფრანგ. "Fauve" - ველური) - XXს. მხატვრული მიმდინარეობა. ფრაგონარი ონორე – XVIIIს-ის ფრანგი მხატვრები, როკოკოს წარმომადგენელი.

ფრანჩესკა პიერო დელა – XVს**-ის იტალიელი მხატვარი.**

ქანდაკება – სხვადასხვა მასალისაგან გამოსახულების კვეთისა და ძერწვის ხელოვნება.

შარავანდი(შარავანდედი) ანუ ნიმბი – წმინდანის თავზე გამოსახული ნათება.

შარდენი ჟან ბატისტ სიმეონ – XVIIIს-ის ფრანგი მხატვარი.

ცერერა – რომაულ მითოლოგიაში: ნაყოფიერების ქალღმერთი.

ძირითადი, ანუ პირველადი ფერები – წითელი, ყვითელი და ლურჯი.

წინა პლანი – სურათის ის ნაწილი, რომელიც ყველაზე ახლოს გვეჩვენება.

ჭიქური – კრიალა ნივთიერება, რომლითაც ფარავენ თიხის ნაკეთობათა ზედაპირს.

ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია – შენობა, რომლის ოთხი მკლავი ჯვრის ფორმას ქმნის და გუმბათითაა გადახურული.

ჯონსი ჯასპერ – XX ს-ის ამერიკელი მხატვარი, პოპ-არტის წარმომადგენელი.

ჯორჯონე – XV-XVIსს-ის ვენეციელი მხატვარი.

ჯოტო დი ბონდონე – XIII-XIVს. იტალიელი მხატვარი, რომელმაც პირველმა დაიწყო ხატვა ახალი, რენესანსული მანერით.

ჰაეროვანი პერსპექტივა – ეს არის ჰაერის ზემოქმედება სხვადასხვა მანძილზე განლაგებულ საგანთა ფერზე და სიმკვეთრეზე.

ჰალსი, ფრანს – XVIIს-ის ჰოლანდიელი მხატვარი.

ჰიდრა – ბერძნულ მითოლოგიაში – ცხრათავიანი ურჩხული.

ჰედა ვილემ კლაას – XVIIს-ის ჰოლანდიელი მხატვარი-ნატურმორტისტი.

ჰერაკლე – ბერძნული მითების პერსონაჟი, სახელოვანი გმირი.

ჰერალდიკა — მეცნიერება გერბების შესახებ.

ჰეროლდი —- ჰერალდიკის სპეციალისტი.

ჰუმანისტები - აღორძინების ხანაში: მეცნიერები და ხელოვანები, კლასიკური ანტიკური კულტურის მცოდნენი.